ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 4 ოქტომბერი, 2013 №235 (6236) ფასი: 30 თეთრი

1 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
საქართველოს
ისტორია
10 ლარი

დავით საგანელიძე: „უმრავლესობაში ახალი ფრაქცია შეიქმნება“

გვ.3

„რატომ უნდა იყოს ანგარიშვალდებული ღარიბაშვილი ალასანიასთან?“

გვ.3

„ჯიჰადის“ ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა“

— გვ. 4 —

ირინა სარიშვილი: „სააკაშვილმა ომი ამერიკის დავალებით დაიწყო“

— გვ. 2 —

გვ.4

არჩილ კბილაშვილი: „ხელისუფლებაში ფუნქციათა გადანაწილება მოხდა“

ხადურს უფლებები შეეზღუდა

გვ.6

მამუკა კაციტაძე: „როდის უნდა ჩატარდეს თვითმმართველობის არჩევნები“?

— გვ. 6 —

გვ.6

გიგი უგულავა: „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს საქმესთან დაკავშირებით გამოძიების ვერსიაში ეჭვს ვერ შევიტანთ“

გვ.6

გიორგი მარგველაშვილი: „არ ვაპირებ, რომ მომგებიანი და პიარული ნაბიჯები გადავდგა“

ISSN 1987-9385

4 ირაკლი ალასანია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალში მიიღებს მონაწილეობას

6 სასჯელაღსრულების სამინისტრო პატიმართა ოჯახებს აფრთხილებს

2 ბიძინა ივანიშვილი: „რეფორმის შედეგად ჩვენ პრინციპულად განსხვავებული პოლიცია და შემცირებული კრიმინალი მივიღეთ“

6 აშშ რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბარიერების აღებისკენ მოუწოდებს

ირინა სარიშვილი: „სააკაშვილმა ომი ამერიკის დავალებით დაიწყო“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

– ქალბატონო ირინა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ამ შეხვედრას ბევრი შეფასება მოჰყვა, იყო კრიტიკაც და დადებითი კომენტარებიც. თქვენი შეფასებები როგორია?

– ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია ორივე შეხვედრის მიმართ. დავიწყოთ ექსპერტებთან შეხვედრით. რამდენიმე ექსპერტის გარდა, მე ეჭვი შემეპარა საერთოდ ამ ადამიანების ღირსებაში, იმიტომ რომ იმ შეურაცხყოფის ატანა, რომელსაც პრემიერისგან ჰქონდა ადგილი, ჩემი აზრით, ნებისმიერ ადამიანს, ქალი იქნება ის თუ კაცი, უნდა გაუჭირდეს. რაც შეეხება ჟურნალისტებთან შეხვედრას, ჟურნალისტები უფრო „ურჩები“ აღმოჩნდნენ, თუმცა ის, რომ მათ არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ მიუღიათ, მხოლოდ რამდენიმემ გააპროტესტა. ორივე ამ შეხვედრიდან ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილი აშკარად ემზადება და გენერალურ რეპეტიციებს გადის საზოგადოებრივ სექტორში გადასასვლელად, იმიტომ რომ მისი ეს შეხვედრა არანაირად არ ჰგავდა პრემიერ-მინისტრის შეხვედრას. ის ემზადება, რომ ამ გზით დაიცვას მომავალი მთავრობა, რომელიც, სავარაუდოდ, ისეთივე უვარგისი იქნება, როგორიც დღევანდელია. ვნახოთ, რამდენი ექსპერტისა და ჟურნალისტის ღირსება გაუძლებს იმ ფასს, რა ფასითაც ივანიშვილი შეეცდება, მოახდინოს თავისი გავლენა არსებული მთავრობის სასარგებლოდ.

– პრემიერი ვერ იტანს განსხვავებულ აზრსო და ეს თქვენც დაინახეთ?

– ეს ფაქტია, რომ ეს ადამიანი ვერ იტანს განსხვავებულ აზრს, მით უმეტეს, თუ ეს აზრი მისი შეხედულებებისგან განსხვავებულია. ის ვერ იტანს განსხვავებულ აზრს და ამას საკმაოდ შეურაცხმყოფელ ფორმებში გამოხატავს. მე არ ვაპირებ, ამ შეხვედრის დეტალებზე დაწვრილებით ვისაუბრო, მაგრამ ერთს ვიტყვი – მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებთან კონფლიქტიც მომსვლია, ბევრი ტყუილიც მომისმენია ჩემს თავზე, ისინი ბევრად უფრო ღირსეულად იგერიებდნენ ივანიშვილის „თავდასხმებს“, ვიდრე ექსპერტები და, პრაქტიკულად, მათი შეკითხვები პრემიერთან უპასუხოდ დარჩა. მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ივანიშვილი რეპეტიციას გადის. სავარაუდოდ, ეს იქნება მისი მეორე მისია. პირველი მან წარმატებით შეასრულა – ხელისუფლებაში მოიყვანა ნაციების იდეოლოგიის გამგრძელებლები, ახლა კი, როგორც ჩანს, მათი დაცვა გარედან გახდება საჭირო. ამას გააკეთებს ობიექტური ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც უნდა, რომ ჩვენი საზოგადოება კულტურულად აამაღლოს. ივანიშვილს ერთი უდავო უპირატესობა აქვს საქართველოს მოქალაქეებთან – ეს მისი ფინანსებია! ვნახოთ, მომავალში მისი ფინანსები რა გავლენას მოახდენს ექსპერტების, მასმედიის წარმომადგენლების ან თუნდაც ოპოზიციის ნაწილზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ ნაწილს შეეხება. ვნახოთ, კიდევ რას შემოგვთავაზებს პრემიერი. მან ჯერჯერობით ორი რეპეტიცია გაიარა საზოგადო მოღვაწის როლში.

– მაშინ რატომ უნდა აწყობდეს ასეთი დაპირისპირება ჟურნალისტებთან თუ ექსპერტებთან?

– ამ შემთხვევაში საუბარია ადამიანზე, რომელმაც მოიგო არჩევნები და ახლა ამ მონაპოვრის დაცვა აქვს გამიზნული. მომავალი ხელისუფლება ტიტულოვან დამცველს საჭიროებს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის აქტიურად ჩაერევა შიდა პოლიტიკურ პროცესებში?

– ჩაერევა მთავრობის დასაცავად, იმიტომ რომ ძალიან ცუდი ფუნქციებით გადაესხა სისხლი ამერიკის ხელისუფლების დიდი ძალისხმევით ნაციონალების ხელისუფლებას და ეს, პირველ რიგში, შეეხება ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და იმ აშკარა მოახლოებულ საფრთხეს, რომელი საფრთხეც წლის ბოლოსთვის ახლოვდება. მე ვგულისხმობ ირანისა და შეერთებული შტატების დაპირისპირებას.

– ქალბატონო ირინა, პრემიერი აქტიურად საუბრობს მომავალ მემკვიდრეზე, თუმცა მის ვინაობას ჯერჯერობით არ უმხელს საზოგადოებას. საზოგადოება ეწინააღმდეგება მემკვიდრის დატოვებას და ვადამდელი არჩევნების გზით ითხოვს ხელისუფლების ცვლილებას. რა პროცესებს ელით?

– როგორც ნახეთ, მან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები კატეგორიულად გამორიცხა. მან, ისევე, როგორც მისი ლოკომოტივის უკან მდგომმა არაპოპულარულმა პოლიტიკოსებმა, მშვენივრად იციან, რომ ივანიშვილის მონაწილეობის გარეშე ნამდვილად ვერ მოხვდებიან პარლამენტში.

– თუმცა, თუკი საზოგადოების აქტიურობა და კატეგორიული მოთხოვნა იქნება, ხომ შეიძლება, დაინიშნოს ეს არჩევნები?

– იმ საზოგადოებას ვიღაც უნდა ჩაუდგეს სათავეში. მე ვფიქრობ, რომ ეს ე.წ. ბომბების იმიტაცია, ეს ტყუილი განგაშები და ასე შემდეგ რაღაცა ამ საფრთხისთვის სავარაუდო მზადებას ჰგავს, რათა შემდეგ ყველაფერი ვიღაცას ან რაღაცას გადაბრალდეს. მეორეც, ჩვენ დავაკვირდეთ, რა მოხდა ერთსა და იმავე დღეს, თითქოს თანაბარი წონის ძალებთან გვაქვს საქმე, როცა, ერთი მხრივ, რამდენიმე ასეული ადამიანი ხვდება საქართველოს პრეზიდენტს, სააკაშვილს აეროპორტში და იმავე დღეს დაახლოებით მაგდენივე ადამიანი ძველი პარლამენტის შენობის წინ ატარებს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო აქციას. აქ აშკარა გაპრავებაზეა საუბარი, რომ თითქოს საქართველოში ეს ძალები თანაბარზომადია. პარლამენტშიც ხომ ასე მოხდა? იმიტომ რომ 40%, რომელიც სინამდვილეში არ მიუღია ნაციონალურ მოძრაობას და აქედან 25% საზეიმო ვითარებაში ოცნებამ საჩუქრად გადასცა, დაახლოებით ამავე სიტუაციაზე იქნება ახლაც საუბარი. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამიტომაც არ ასახელებს პრემიერ-მინისტრი მომავალ პრემიერს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის იყოს ან ისევ რესპუბლიკელი, ან ნაციონალი, ან მარგველაშვილისნაირი ცარიელი ადგილი. მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მარგველაშვილს ცარიელ ადგილს ვუწოდებ არა მე, არამედ თვითონ ბიძინა ივანიშვილი, როცა ამბობს, ამ კაცს ნუ უყურებთ, მე მომეცით ხმაო, როცა მარგველაშვილს აძლევთ ხმას, ჩემზე იფიქრეთო და ამაზე დიდი შეურაცხყოფა ადამიანს არ შეიძლება მიაყენო. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ამ მნიშვნელოვან გრძნობას, რასაც ღირსება ჰქვია, მოკლებულია.

– თქვენ ამბობდით, რომ ნაციონალები და ოცნება თითქმის თანაბარწონიან ძალებად არიან წარმოჩენილი. ვხედავთ, რომ სოციოლოგიურ კვლევებშიც პირველ-მეორე ადგილს ამ ძალების საპრეზიდენტო კანდიდატები ინაწილებენ. რა ხდება, ამომრჩეველს აზრს აჩვევენ, რომ ასეთი სურათი დაიდება?

– როგორ გითხრათ, ეს ძალიან რთული თემაა, ეს არ არის მარტო პოლიტიკოსებზე დამოკიდებული, თუ რას გადაწყვეტენ ისინი, იქიდან გამომდინარე, რომ ხალხისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მდგომარეობას. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ივანიშვილის ფინანსურ შესაძლებლობებს და ივანიშვილმაც, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ თავისი ქონება აძლევს მას იმის უფლებას, რომ სხვას მაღლიდან უყუროს და მიაყენოს შეურაცხყოფა, თუმცა, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ფულის გამო არავის ქვევიდან ზევით არ შეხედავენ და რომლებიც არ ჩათვლიან ფულს უპირატესობად ადამიანისთვის.

– რას ელოდებით ამ არჩევნებზე? ამბობენ, რომ ქაოსი გარდაუვალია. თქვენც ასე ფიქრობთ?

– ჯერჯერობით მე ვხედავ მკვდარ ქაოსს და მკვდარი ქაოსი ძალიან ადვილი სამართავია. თუ მოხდა ისე, რომ ნაცებისა და ქოცების გეგმა საფრთხის ქვეშ დადგა ანუ ბურჯანაძის რეიტინგმა იმდენად გადააჭარბა მათთვის მოსალოდნელს, რომ შეუძლებელი გახდა გაყალბება, რადგან გაყალბების რაღაც ზღვრული ნორმაც ხომ არსებობს, მაშინ არ გამოვრიცხავ რაღაც დაპირისპირებას, მაგრამ ეჭვი მეპარება. ყველაფერი საეჭვოდ მშვიდად მიდის. სავარაუდოდ, პირველ ადგილზე უნდა გავიდეს მარგველაშვილი, რომ გაბრაზებული არ წავიდეს აქედან ბიძინა ივანიშვილი და თან დროზე ადრე, ინაუგურაციამდე. მეორე ადგილზე უნდა გავიდეს დავით ბაქრაძე და ამისთვის ყველაფერს აკეთებს კოალიცია „ოცნების“ ხალხი. მესამე ადგილს, ალბათ, ვერ გაიმეტებენ ნინო ბურჯანაძისთვის. მესამე ადგილზე გაქაჩავენ ისევ შალვა ნათელაშვილს, რათა ბურჯანაძე საერთოდ უკანა პლანზე გადასწიონ. ამ შემთხვევაში მეორე ადგილს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ნაციონალებისთვის, იმ გეგმისთვის, რომლის სათავეშიც ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინა ანუ პარლამენტში შეიქმნას ახალი რეალობა და არა იმ ტიპის კოალიცია, რაც დღეს გვაქვს, ერთი გუნდის კოალიცია, არამედ კლასიკური ტიპის კოალიცია, როცა ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტიები ერთმანეთის გარეშე ვეღარ იღებენ გადაწყვეტილებას და, აქედან გამომდინარე, ქმნიან კოალიციას.

– ქალბატონო ირინა, მინდა, რომ კიდევ ერთ თემას შევეხოთ და ეს არის რუსეთის აგრესია. რა ხდება? ბევრი ფიქრობს, რომ ეს პროცესები ხელოვნურად არის დადგმული და რომ ის ვიღაცის წისქვილზე ასხამს წყალს. თქვენი შეხედულებები როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?

– რუსეთი, სამწუხაროდ, ყველა არჩევნების წინ ბევრი წელია უკვე ეხმარება ნაციონალურ მოძრაობას. ყოველ შემთხვევაში, ის რუსი პოლიტიკოსები, რომლებიც მაინცდამაინც არჩევნების წინ, იქნება ეს საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი, იწყებენ საქართველოს აქტიურ გინებას, მოსკოვიდან ყრიან უკანონოდ მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც ბევრი წელია იქ ცხოვრობენ და პრობლემა არ შეჰქმნიათ. ახლა სამი-ოთხი ოჯახის გულისთვის ატეხილია სერიოზული განგაში და ამ შემთხვევაში ნაციონალები ისევ იღებენ მორალურ უპირატესობას, საერთოდ ამ ქვეყანაში მორალზე თუ შეიძლება იყოს ლაპარაკი.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ სიტუაციით ნაციონალები ითბობენ ხელს?

– მე და თქვენ რომ არ ვითბობთ, ეს ზუსტად ვიცი და, ნაციონალების გარდა, ეს სიტუაცია თუ კიდევ ვინმეს აწყობს, არ ვიცი. მე კიდევ ერთ ფაქტორს მინდა გავუსვა ხაზი, პრემიერი გამოდის და აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთთან ომი სააკაშვილმა დაიწყო და ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ამერიკას, ამაზე რატომ არავინ საუბრობს? სააკაშვილმა შტატებთან ერთად მიიღო მონაწილეობა დანაშაულებრივ შეთქმულებაში, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა წაგებული ომი და რომელსაც ორი მართლმადიდებელი ქვეყანა უნდა დაეზარალებინა. ერთი ცოტა შორეული პერსპექტივით, მეორე ახლო პერსპექტივით. ახლო პერსპექტივაში ჩვენ ვართ, შორეულ პერსპექტივაში რუსეთი, რომელსაც არაფერში არ აწყობდა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ავტონომიების აღიარება. მაინც თვითონ აკონტროლებდნენ იქაურობას და, აქედან გამომდინარე, იურიდიულად რუსეთის ტიპის სახელმწიფოსთვის ასეთი აღიარებები ძალიან დიდი ნაღმია, მით უმეტეს, თუ ამერიკელებმა მოახერხეს, რომ ქართულმა მხარემ თვითონ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და რესპუბლიკური მთავრობის პირობებში ეს არ გაუჭირდებათ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ რუსეთში საფრთხეები იზრდება.

– რას ველოდებით სამომავლოდ?

– ძალიან მოკლედ თუ გეტყვით – კარგს არაფერს. როგორც მედიცინაში, ისე პოლიტიკაში, სამი ტიპის ჩარევაა აღიარებული, ერთი არის გამაყუჩებელი წამლები ანუ დადებილება და სწორედ ამ გზას ვადგავართ ჩვენ, მეორე არის თერაპია, რომელიც მსუბუქი დაავადებების დროს გამოიყენება მხოლოდ და მესამეა ქირურგია. ქირურგიული ჩარევის გარეშე, რომელმაც სასწრაფოდ უნდა შეცვალოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა და უარი ათქმევინოს საქართველოს შტატების სტრატეგიულ პარტნიორობაზე, აი, ეს არის გამოსავალი, რომელსაც მე, სამწუხაროდ, ახლო პერსპექტივაში, თუ ცა არ გაიხსნა და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ზევიდან არ გადმოხედა უფალმა, ისე არ მოხდება. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საგარეო პოლიტიკა, თორემ ამ ქვეყნის ნგრევა გაგრძელდება და მავთულხლართები კიდევ უფრო მოგვიახლოვდება.

ბიძინა ივანიშვილი: „რეფორმის შედეგად ჩვენ პრინციპულად განსხვავებული პოლიცია და შემცირებული კრიმინალი მივიღეთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რომელიც მან ქართული ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელებთან და პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანებთან შეხვედრისას გააკეთა, ქვეყანამ, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული რეფორმის შედეგად, პრინციპულად განსხვავებული პოლიცია და შემცირებული კრიმინალი მიიღო. „ხომ გახსოვთ როგორი იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო. სად იყავით 1 წლის წინ, როცა წინა ხელისუფლება ტრაბახობდა თუ როგორი ეფექტურია შსს და ნახეთ როგორ მოვერიეთ კრიმინალსო. ხოლო თუ როგორი მეთოდებით ერეოდნენ კრიმინალს, ესეც კარგად ვიცით, კარგად გვახსოვს ციხეების კადრებიც და ისიც, თუ რას უშვრებოდნენ ხალხს. სწორედ ამით ერეოდნენ ძირითადად კრიმინალს. ამ ფონზე, ნახეთ რა მოხდა დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. პოლიცია რეალურად ჩადგა ხალხის სამსახურში და უარი თქვა იმ მეთოდებზე, რასაც წინა ხელისუფლება იყენებდა. ამ მეთოდებზე უარის თქმის მიუხედავად, კრიმინალი კიდევ უფრო დაბალია და პოლიცია, კიდევ უფრო ეფექტურია. იმ დიდი რეფორმების შედეგად, რომელიც პოლიციაში გატარდა, ჩვენ პრინციპულად განსხვავებული პოლიცია მივიღეთ, რითაც ჩემი აზრით, არა მარტო ხელისუფლება, ჟურნალისტებიც და მთლიანად საზოგადოება უნდა ამაყობდეთ“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ნიუსპრესი

ირაკლი ალადაშვილი: „ვისაც ეჭვი ეპარება „ჯიჰადის“ ვიდეობის საქმეზე, შეუძლია დამოუკიდებელი გამოკვლევა ჩაატაროს“

სამხედრო ექსპერტი, ჟურნალ ,,არსენალი“-ს რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ე.წ. ,,ჯიჰადის ვიდეოს“ საქმესთან დაკავშირებით გასაჯაროვებულ გამოძიების შედეგებს საკმაოდ დამაჯერებლ უწოდებს და აღნიშნავს, თუ ვინმეს რაიმე ეჭვი აქვს, პროფესიონალი Iთ სპეციალისტების დახმარებით მარტივად შეუძლია დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება.

,,კონკრეტიკა საკმაოა იმისთვის, რომ შსს-ს ეს განცხადება ვირწმუნოთ, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს არადამაჯერებელს უწოდებენ და არ ენდობიან. სწორედ ამ ხალხის მიმართ მიჩნდება კითხვა, ე.წ ,,ენვერისა,“ და ,,კოჭოიას“ საქმეებს რატომ იღებდნენ ისე, რომ ის იყო 100 %-იანი სიმართლე, მაშინ როდესაც იქ პირიქით, ძალიან ბევრი ეჭვი არსებობდა“ – აცხადებს ალადაშვილი.

იგი განმარტავს, რომ ე.წ „ჯიჰადის ვიდეოს“ გახსნის საქმეში ძალიან ბევრი ინფორმაციაა დაზუსტებული, მაგალითად ვიდეოს ავტორის დაბადებისა და სამუშაო ადგილის, გამოცდილების შესახებ; ასევე, იმასთან დაკავშრებით, თუ რა ტექნიკური საშუალებებით მოახერხა მან ვიდეოს გავრცელება.

„კარგი იქნება, რომ ვისაც ეჭვი ეპარება, დამოუკიდებელი გამოკვლევა ჩაატაროს პროფესიონალი ე.წ „აიტიშნიკების“ მეშვეობით, რათა დაამტკიცოს რამდენად არის შესაძლებელი ტექნიკურად განხორციელდეს ის სქემა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაშიფრა. ამ მხრივ, ეს ყველაზე კარგი შემოწმება იქნებოდა“ – აცხადებს „რასენალის“ რედაქტორი.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

დავით საგანელიძე: „უმრავლესობაში ახალი ფრაქცია შეიქმნება“

უკვე ჯახგა ხანია, ეჩი „ქართული ოცნების“ დაშლას წინასწარმეტყველებს. ექსპერტები იმის მტკიცებაში არიან, რომ მაღე საპარლამენტო უმრავლესობა დაიშლება. უმრავლესობაში ამის ნიშნები აშკარად შეინიშნება. კობა დავითაშვილის სახით მათგან პირველი მეცხრაღი უკვე გაფრინდა. ამბობენ, რომ მას სხვებიც მიჰყვებიან.

რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა ამ კუთხით საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, უმრავლესობაში არის ერთი-ორი კაცი რომელიც სიტუაციის აყირავებას შეეცდება. ახლა სრულიად საქართველო ამ კაცების ვინაობის გარკვევას ცდილობს.

ამ თემაზე გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერსაც მოუხდა საუბარი. დავით საგანელიძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან ჟურნალისტებს ამცნო, რომ ახლო მომავალში შესაძლოა უმრავლესობის ბაზაზე ახალი ფრაქცია შეიქმნას.

მისი თქმით, ზოგადად, უმრავლესობაში საკმაოდ ჯანსაღ პროცესებს – ცალკეულ საკითხებზე ჯანსაღ აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს აქვს ადგილი. ჟურნალისტებმა იმის გარკვევაც სცადეს, თუ ვინ არის ის ერთი-ორი კაცი, რომელიც სიტუაციის აყირავებას ცდილობს.

– ვერ გეტყვით, რომელ ერთ-ორ ადამიანს გულისხმობდა ბატონი ბიძინა. ამასთან დაკავშირებით ჩემი გარკვეული შეხედულებები და მოსაზრებები, ბუნებრივია, მაქვს, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მით უფრო, რომ მათ პრემიერი არ ასახელებს. თუმცა, რა თქმა უნდა, არიან უმრავლესობაში ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი პოლიტიკური მომავლისთვის უკეთესი იქნება, ცალკე ფრაქცია გააკეთონ, ეს არ არის გამორიცხული. ფრაქცია, რომელიც მეტ თავისუფლებას თუ დამოუკიდებლობას მისცემს მათ, იმიტომ, რომ არ მოსწონთ რაღაც, რაც პოლიტიკაში ხდება. ეს მათი საქმეა და მათი პოლიტიკაა. შეიძლება რვა, ათი და თორმეტი ადამიანი განაწყენებულია იმით, რომ მეტად აქტიურობის საშუალება არა აქვთ, თუმცა ეს მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ – ის, რომ აუცილებლად შტაბის ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყვნენ, ეს მათ აქტიურობას არ განსაზღვრავდა, – განაცხადა საგანელიძემ.

უმრავლესობის ლიდერმა კობა დავითაშვილს ვერაფრით აუარა გვერდი. ეს უკანასკნელი და დავით საგანელიძე ერთმანეთთან კარგად ნამდვილად არ არიან. უმრავლესობის ლიდერი სიტუაციის ამრევად კობა დავითაშვილისნაირ ადამიანებს მიიჩნევს. საგანელიძის აზრით, პოლიტიკა მოგებული დარჩება, თუ ასეთი ადამიანები სახლში დასხდებიან.

– დავითაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი არასტაბილურობით. იმ დღეს ვიხსენებდით, რამდენი პოლიტიკური პარტია გამოიცვალა და ყველა პარტიიდან სკანდალებით წამოვიდა. პოლიტიკაში ასეთი ადამიანები არიან, თუმცა, ერთი მინდა ვთქვა, რომ იმედი მაქვს, ბატონი კობა ერთხელ მაინც შეასრულებს თავის ნათქვამ სიტყვას, როცა მან ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ, თუ არჩევნებში 3%-ს ვერ მოაგროვებს, პოლიტიკიდან წავა. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანების პოლიტიკიდან წასვლა ნამდვილად კარგი იქნება, რადგან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკაში მარტო პოპულიზმზე და საკუთარ სარგებელზე ფიქრობენ, კარგი იქნება პოლიტიკა გაიწმინდოს, – აცხადებს დავით საგანელიძე.

დავით საგანელიძეს „რეპორტიორის“ პრესკლუბში პრემიერ-მინისტრის ჟურნალისტებთან შეხვედრაც შეაფასებინეს. პრემიერის მსგავსად, ჟურნალისტების დამოძღვრა არც მას დაზარებია.

მისი განცხადებით, ჟურნალისტებმა მარტო ის არ უნდა წერონ, რაც თავში მოუვათ. საგანელიძის მტკიცებით, ივანიშვილს ჟურნალისტებთან შეხვედრა სწორედაც ნიშნავდა იმას, რომ მედიის საქმიანობაში არავინ უნდა ჩაერიოს.

– პრემიერისა და ჟურნალისტების შეხვედრა უპრეცედენტო იყო ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, როცა ქვეყნის პირველი პირი, რომელსაც საზოგადოებაში ამხელა რეიტინგი აქვს, გარკვეულად რისკზე წავიდა. მას არ სჭირდება პიარი, აქვს ავტორიტეტი. ის ამბობს, რომ ყველა პროცესი უნდა იყოს ღია. ამის შემდეგ ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, რომ ეს იყო ჩარევა ტელევიზიების საქმიანობაში. ჩარევა იყო ის, რაც წინა წლებში ხდებოდა, როცა დახურულ კედლებს მიღმა ტელეფონით ან დაბარებით უწყვეტდნენ, რა ინფორმაცია გასულიყო ეთერში და რა – არა. ივანიშვილმა გახსნა ყველა კედელი, საუბრობს ყველაფერზე. ასე ღიად ჩარევა გაგიგიათ? ეს არათუ ჩარევა გახლდათ, არამედ პრევენცია, რომ არავინ ჩაერიოს მასმედიის საქმიანობაში, – აღნიშნავს დავით საგანელიძე.

უმრავლესობის ლიდერი წუხს იმის გამოც, რომ ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტები არაკომპეტენტურობას ავლენენ. მისი თქმით, ხშირად არც მასალის გადამოწმება ხდება. მისი აზრით, ზოგიერთი ჟურნალისტის დამსახურებაა, რომ ამ პროფესიას სახელი გაუტყდა.

– პრეტენზიების გამოთქმის უფლება ყველას აქვს. როცა ივანიშვილმა გარკვეული პრეტენზიები გამოთქვა, გარკვეული ტელევიზიებისა თუ ჟურნალისტების მიმართ, ნუ მიიღებთ შეურაცხყოფად. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ამ ძვირფას პროფესიას – ჟურნალისტიკას – ბევრმა ჟურნალისტმა სახელი გაუტეხა! დევალვირება გააკეთა ჟურნალისტიკის. უამრავი ჟურნალისტი გამოძალვის, დაკვეთის გამო აკეთებს სტატიებს. ხშირად არაკომპეტენტურ, არადასაბუთებულ, გადაუმოწმებელ მასალებს აკეთებენ, ასევე, თითიდან გამოწოვილ თემებს. ასეთ ჟურნალისტიკას ტაში ვუკრათ? დიდ პატივს გცემთ ჟურნალისტებს, მაგრამ შენიშვნა ყველამ უნდა მიიღოს, – დამოძღვრა მედია უმრავლესობის ლიდერმა.

გუშინდელი დღის მთავარი თემა თალიბანის სახელით გავრცელებული ვიდეოების საქმის გახსნა იყო. ნაციონალებს შსს-ს ვერსიის არ სჯერათ. საგანელიძე კი სრულად ენდობა ირაკლი ღარიბაშვილის უწყებას. როგორც თავად ამბობს, მას არანაირი საფუძველი არა აქვს იმისა, „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებულ ვიდეოს საქმეზე შსს-ს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში იოტისოდენა ეჭვი შეიტანოს.

– ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის შეეცდება, ნებისმიერი საქმე ეჭვქვეშ დააყენოს და ხელისუფლებას ყველაფერი დაუწყოს. ის, რაც იყო ნათქვამი და საკმაოდ დეტალიზებულად იყო ახსნილი, თუ როგორ მოხდა ყირგიზი მოქალაქის მიერ აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩვენს ინტერნეტსივრცეში შეღწევა. როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალკვალიფიციური „აიტიშნიკია“. დავალება ვისგან ჰქონდა და რატომ, ეს მეორე თემაა. ფაქტი ერთია, რომ შესაბამის სამსახურებს აღნიშნული ფაქტი დეტალურად აქვს შესწავლილი – როდის, როგორ, რომელი სერვერის საშუალებით და რომელი ტერიტორიებიდან მოხდა ვიდეოს გავრცელება. ამ ადამიანზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და, იმედი მაქვს, მისი დაკავება მოხდება. საქმე ბოლო ერთი თვეა გახსნილია და ამ ხნის განმავლობაში გამოძიების მიერ გარკვეული დეტალები და ნიუანსები ზუსტდებოდა. გამოძიებას აქვს ვალდებულება, ვიდრე საკითხს ბოლომდე არ შეისწავლის, ისევ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ გაახმაუროს, – აღნიშნა საგანელიძემ.

უმრავლესობის ლიდერმა გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ანდრო ბარნოვის განცხადებებიც დაგმო. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი შს სამინისტროს მიერ „ჯიჰადის“ ვიდეოსთან დაკავშირებულ გამოძიებას არადამაჯერებელს უწოდებს. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შსს სხვადასხვა ვერსიას იგონებს, რათა საზოგადოებას დააჯერონ, რომ ამ საქმის სრულად გახსნა შეუძლებელია.

– არ მაქვს არანაირი საფუძველი იმისა, რომ შსს-ს მუშაობაში ეჭვი შევიტანო. საკმაოდ დეტალიზებულად იყო ინფორმაცია მოწოდებული, ყირგიზი მოქალაქის მიერ ინტერნეტ სივრცეში შეღწევა. ფაქტია, რომ შესაბამის სამსახურებს დეტალურად აქვთ ეს საკითხი შესწავლილი. იმედი მაქვს, მალე მოხდება დამნაშავის დაკავება. ანდრო ბარნოვის განცხადებები არ მაინტერესებს. ამ ადამიანების „ექსპერტობას“ საქართველოში გადაჰყვა ბევრი რამ. მისი პოპულიზმი ჩემთვის საინტერესო არ არის, – ამბობს საგანელიძე.

„რატომ უნდა იყოს ანგარიშვალდებული ღარიბაშვილი ალასანიასთან?“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს შს სამინისტრომ გუშინ ოფიციალურად გვაუწყა, თუ ვინ ატვირთა თალიბანის სახელით ვიდეო. აღნიშნული ვიდეორგოლი მიმდინარე წლის 6 ივნისს გავრცელდა. მავანი თალიბანის სახელით საქართველოს „ჯიჰადით“ ემუქრებოდა. ამ საქმეზე მაშინვე დაიწყო გამოძიება. საქმის გახსნის შესახებ კი მხოლოდ გუშინ გვამცნეს. შსს-ს ინფორმაციით, „ჯიჰადის“ ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა, რომელიც სოხუმში მუშაობს.

მანამდე იყო თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადება. რომელმაც განაცხადა, რომ თუ შსს უახლოეს მომავალში ამ საქმეს ვერ გამოიძიებდა, ის საკუთარ რესურსებს ჩართავდა. სხვათა შორის, ასეთი განცხადება თავდაცვის მინისტრმა ადრეც გააკეთა.

უკვე მაშინ ითქვა, რომ ალასანიასა და ღარიბაშვილს შორის ფარული დაპირისპირება მიმდინარეობდა. მაშინ კი ფაქტი ყველამ უარყო, თუმცა ახლა ამას ვეღარ მალავენ და, უბრალოდ, ამ თემაზე კომენტარებს არ აკეთებენ.

ალასანიას განცხადების მეორე დღეს ღარიბაშვილმა ერს ამცნო, რომ ეს საქმე უკვე გამოძიებული იყო. ამან ხალხი საგონებელში ჩააგდო. ერი დაინტერესდა, რატომ არ იცოდა ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შს მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი ლევან იზორიაა.

„ჯიჰადის“ საქმის გახსნასა და მინისტრებს შორის ფარულ დაპირისპირებას ბევრი ვინმე გამოეხმაურა. კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი ალასანიას განცხადებას უწუნებს და კითხულობს, როდიდან გახდა ღარიბაშვილი ალასანიას წინაშე ანგარიშვალდებული?

მას სულაც არ ეჩვენება უცნაურად ის ფაქტი, რომ ღარიბაშვილის უწყება გახსნილ საქმეს ინახავდა.

– ირაკლი ღარიბაშვილმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეასრულა ძალიან ღრმა, სერიოზული და ფუნდამენტური სამუშაო, რომ გამოეძიათ, რადგან ამ კლიპის ამტვირთავებს ორი თუ სამი ცრუ კვალი ჰქონდათ დაწერილი. ჩვენ ძალიან მოგვწონს, რაც გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ირაკლი ღარიბაშვილმა. ღარიბაშვილი, განსხვავებით ალასანიასგან, პოლიტიკოსი არ არის, ის საქმეს აკეთებს და არის ჩუმად. 1 თვის წინ გაიხსნა, მაგრამ არ უნდოდა გახმაურება, იმიტომ რომ, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი დღევანდელი ხელისუფლებისადმი, არ ეფიქრა, რომ

ეს არის სააკაშვილის დროინდელი წინასაარჩევნო პიარი. რაც შეეხება ალასანიას, როდიდან გახდა ღარიბაშვილი ალასანიას წინაშე ანგარიშვალდებული, არ ვიცი. ვინ დაუშალა? საკუთარი დაზვერვა ჰყავს, თავდაცვის უწყებაა და ჩაეტარებინა დამოუკიდებლად გამოძიება, თუ უნდოდა. ვინ დაუშალა? მაინც ვერ გავიგე, რატომ უნდა იყოს ანგარიშვალდებული ღარიბაშვილი ალასანიასთან? ძალიან მომწონს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა, რომ არ ახმოვანებენ და აპიარებენ გამოძიებულ მასალებს. ლაფანყურიც გამოძიებული აქვს და ამ კლიპების ავტორებიც, მით უმეტეს, რომ ცრუ კვალი იყო და გამოძიებას შეიძლება ხელი შეშლოდა. „ჯიჰადის“ კლიპების ავტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი მტერი ერის და ქვეყნის, რომელსაც უნდა ქაოსი და არეულობა საქართველოს ტერიტორიაზე, ვერ გამოვყოფ რაღაც ნიშნით, ვერც რელიგიისა და ვერც ეთნიკური წარმომავლობით. თუმცა, ჩვენ მაშინაც ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ სააკაშვილისა და ალასანიას დაუმთავრებელმა ვოიაჟებმა ავღანეთში გააღიზიანა მუსლიმანები, – განაცხადა ზაალ კასრელიშვილმა „პირველ რადიოსთან“.

შსს-ს ვერსიას სრულად ენდობა ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე. ექსპერტი ამბობს, რომ მან უკვე იცოდა, შსს სწორ კვალზე რომ იყო გასული.

– მე ცოტა ხნით ადრე ვიცოდი, რომ ასეთი ტიპის კვალზე იდგა შსს და ამ საქმეში ჩართული იყვნენ ამერიკული სპეცსამსახურები. მართალია, ნიუანსები დღემდე არ ვიცოდი, მაგრამ, შევეცადე, ტექნიკური თვალსაზრისით მომეკითხა, რამდენად რეალურია ასეთი ღონისძიების ჩატარება. ვინც ამ ტექნიკურ საქმეში ერკვევა, მითხრეს, რომ ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ არის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა. ამის მაგალითებიც მომიყვანეს მსოფლიო პრაქტიკიდან. აქედან გამომდინარე, მე არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო შსს-ს მიერ გაკეთებულ განცხადებაში. მე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს ვიდეოები შესაძლებელია, ატვირთული ყოფილიყო აფხაზეთის ტერიტორიიდან, იმიტომ, რომ მე ვიცი აფხაზეთში მოქმედი ზოგიერთი ორგანიზაციის ხელწერა და, აქედან გამომდინარე, არ გამიკვირდებოდა. ეს ყველაფერი მაძლევს უფლებას, ვთქვა, რომ ეჭვს ვერ შევიტან შსს-ს განცხადებაში, მით უმეტეს, ამ საქმეზე ამერიკული სპეცსამსახურებიც ძალიან აქტიურად მუშაობდნენ. ვიდეოების გავრცელებას რამდენიმე მიზანი შეიძლება ჰქონოდა. ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ყოფილიყო საზოგადოების დაშინება, გათვლა საზოგადოების ზეწოლაზე, ეიძულებინა ხელისუფლებისთვის, ვთქვათ, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა; მეორე არის ზონდაჟი სპეცსამსახურების მომზადებისა, საზოგადოების მზაობისა. ეს რომ გასულოდათ, მერე შეიძლება სხვა რამე გაეკეთებინათ. მხოლოდ ორი. არაპროფესიონალურად გაკეთებული ვიდეორგოლის გავრცელებამ თავიდანვე მაფიქრებინებდა, რომ ეს ამ საქმეზე ორიენტირებული ორგანიზებული ჯგუფის გაკეთებული არ იყო, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მამუკა არეშიძემ.

ექსპერტი კახა კახიშვილი „ტელეგრაფთან“ „ჯიჰადის“ ვიდეომასალის სავარაუდო დამკვეთებზე საუბრობს. კახიშვილი აცხადებს, რომ ვიდეო ავღანურმა ძალებმა შექმნეს. ამასთან, ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ვიდეოს შემქმნელები რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურები ან კონკრეტული დანაშაულებრივი ჯგუფი იყოს, რომელთა მიზანიც საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნაა.

– 21-ე საუკუნეში კიბერდანაშაული ერთ-ერთი ყველაზე ფაქიზი დანაშაულია, რომლის გახსნისთვის ძალიან მაღალი ტექნოლოგიებია საჭირო. ადამიანები, რომლებსაც მსგავსი დანაშაულს ჩადენა აქვთ განზრახული, კარგად არიან მომზადებულნი. შს სამინისტროს მიერ დღეს საზოგადოებისთვის მოწოდებული მასალა ადასტურებს, რომ კვალის ასარევად ეჭვმიტანილმა კარგად იმუშავა. ახლა მთავარია დადგინდეს, თუ ვის ინტერესებში შედიოდა ამ ვიდეოების გავრცელება. იმედს ვიტოვებ, რომ საქმე ბოლომდე გაიხსნება. სავარაუდოდ, ყირგიზეთის მოქალაქის ძებნაში ინტერპოლიც ჩაერთვება. ვიდეოს ავტორების წარმომავლობაზე შეიძლება სამი ასპექტით ვისაუბროთ. პირველი, სავარაუდოდ, არის ავღანური ძალების მიერ გაკეთებული ვიდეო, რომელთაც სურთ, ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდეს ამ ქვეყნიდან ჩვენი სამხედროების გამოყვანის მოთხოვნა. მეორე – ეს არის კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მასალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებას ემსახურება და მესამე, ვიდეო შექმნა კონკრეტულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა და ამ მასალებით სახელმწიფოს დარტყმას აყენებენ, – განუცხადა „ტელეგრაფს“ კახიშვილმა.

უშიშროების ყოფილი მინისტრისთვის გაუგებარი და უცნაურია, რატომ არ არსებობს კომუნიკაცია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს შორის. „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ვალერი ხაბურძანიამ „ჯიჰადის“ კლიპებთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი ალასანიას ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები შეაფასა. მისი თქმით, გაუგებარია, რას გულისხმობდა ალასანია, როდესაც ამბობდა, რომ თუ გამოძიებაში პროგრესი არ იქნება, მზად არის, თავისი რესურსი ჩართოს. ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, ამ საქმის გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა. უშიშროების ყოფილი მინისტრი თვლის, რომ ალასანიას „ცოტა უხეშად მოუვიდა“.

– უცნაურია, არ უნდა ხდებოდეს ასეთი რამ ერთი მთავრობის შიგნით, არ უნდა ხდებოდეს ურთიერთდარღვევა. ეს ღარიბაშვილის საქმეა. თავდაცვის სამინისტრომ შეიძლება დახმარება გაუწიოს, მაგრამ ეს ღარიბაშვილის საქმეა. შინაგან საქმეთა სამინისტროსაც ჰყავდა უცხოელი სპეციალისტები. აქ გასარკვევი იყო, საიდან გაკეთდა ზარი და ამის შემდეგ საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარებულიყო, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოსაძიებელია, მე ვფიქრობ, ირაკლი ალასანიამ მზადყოფნა გამოთქვა თავისი შესაძლებლობების გამოყენების, მაგრამ ვთვლი, რომ ცოტა უხეშად გამოუვიდა. რაც შეეხება ამ კლიპების დამზადებას, ვფიქრობ, რომ კერძო ინიციატივას ჰგავს, ვიღაცამ, რომელსაც თავისი პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა, ასე გააკეთა, – განაცხადა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ვალერი ხაბურძანიამ.

ნაციონალები, როგორც უკვე ვთქვით, უკმაყოფილო არიან შსს-ს გამოძიებით. იმდენი ტყუილი ტერაქტი „გახსნეს“, რომ, რა გასაკვირია, უნდობლობას იჩენდნენ. დარჩა ისეთი შთაბეჭდილებაც, რომ ნაციონალებს ძალიან ეწყინათ ამ საქმის გახსნა.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ თემის წამოწევას ისინი არჩევნებისთვის აპირებდნენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ეს ამბავი არ მოეწონათ.

ისე, სადაც კოჭოიას ტერორისტობა დაიჯერეს, რატომ არ შეიძლება, ჩაკუტაევი იყოს მავნე?

„ჯიჰადის“ ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა“

ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ორი დღის წინ სრულიად მოულოდნელად ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს საქმე ერთი თვეა გახსნილია და ავტორიც დაკავებულია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მინისტრმა გვითხრა, ერთი თვეა, საქმე გახსნილია, ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არ ჰქონდა.

გუშინ, დაპირებისამებრ, სპეციალური პრესკონფერენცია აღნიშნულ

საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა ჩაატარა.

– „ჯიჰადის“ ვიდეო ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევმა შექმნა, რომელიც სოხუმში მუშაობს. – ასეთია ოფიციალური ვერსია, რომელიც გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა გაახმოვანა.

ჩოკუტაევმა დანაშაული ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩაიდინა.

ვინ არის 24 წლის სამარ ჩოკუტაევი? ვისი დავალება შეასრულა ჩოკუტაევმა? თუ მხოლოდ თვითონ მოქმედებდა?

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ, გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ლიმიტირებული ინფორმაცია გაავრცელა.

აღნიშნული საქმის გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა, რომელსაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურის შესაბამისი სპეციალისტები ეხმარებოდნენ.

– ტერორიზმის შესახებ მუქარის, „ჯიჰადის“ ვიდეოს საქმე გახსნილია. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება გარკვეული ინფორმაციის განსაჯაროების შესახებ, თუმცა, დანაშაულის ხასიათიდან და მისი გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ გავრცელებული ინფორმაცია გარკვეულწილად ლიმიტირებული იქნება, – აცხადებს ნინო გიორგობიანი.

ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი აფხაზეთში, სოხუმში ერთ-ერთ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაში მუშაობს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების შედეგად დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი – 1989 წლის 6 მარტს დაბადებული, ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს. მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით, – განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

სამარ ჩოკუტაევს ბრალად დაედო საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება ტერორისტული აქტის ჩადენის მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.

– ჩოკუტაევი მაღალი კვალიფიკაციის აიდი-სპეციალისტია და მან დანაშაული ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ჩაიდინა, – განაცხადა გიორგობიანმა.

როგორც ცნობილია, „თალიბების“ სახელით 7 ივნისს გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყველა, ვინც თალიბების წინააღმდეგ გაილაშქრა, დაისაჯა და ეს ბედი ელით ქართველებსაც.

„ჯიჰადის“ ვიდეოს ავტორს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.

ამჟამად ყირგიზეთის მოქალაქის სამარ ჩოკუტაევის ძებნის ღონისძიებები როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ ხორციელდება.

– საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით უდავოდ დადგენილია, რომ ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი არის მაღალი კვალიფიკაციის აიდი-სპეციალისტი და დანაშაული მან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაიდინა, კერძოდ: 2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევმა ინტერნეტ-სივრცეში მომხმარებელ ჰამად ძამანის სახელით განათავსა ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას, – ამბობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

უშუალოდ ვიდეორგოლის, აგრეთვე, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ტექნოლოგიის დეტალური შესწავლისა და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა:

– ვიდეომასალა, რომელიც გამოყენებულია მუქარის შემცველი ვიდეორგოლის შესაქმნელად, მოპოვებულია თავისუფალი წვდომის ინტერნეტ-სივრცეში, რგოლი შექმნილია ამ ვიდეომასალის დამონტაჟების შედეგად და მის დასამზადებლად ავტორს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეოარქივთან უშუალო ანუ ფიზიკური წვდომა.

დანაშაული ჩადენილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. კვალის დაფარვის მიზნით სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა ქართული ჯიესმ ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი, მობიტელი) უესბი ინტერნეტ-მოდემები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამივე უესბი ოპერატორის სიხშირე, თავად ანძები კი, რომლებითაც ბრალდებული სარგებლობდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული, – განაცხადა გიორგობიანმა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიებით უდავოდ დადგენილია, რომ სამარ ჩოკუტაევმა, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, მალაიზიაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით, დაშიფრული ხაზით შეაღწია თბილისში, ორ სხვადასხვა მისამართზე მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტ-ქსელში და კვალის არევის მიზნით იმგვარად ატვირთა მუქარის შემცველი ვიდეორგოლი აღნიშნულ ოფისებში განთავსებული როუტერების გამოყენებით, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი. გამოძიების საწყის ეტაპზე სწორედ თბილისში განთავსებული აიპი მისამართები იქნა იდენტიფიცირებული ქართველი სამართალდამცველების მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარ ჩოკუტაევს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად ხორციელდება ბრალდებულის ძებნის ღონისძიებები როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, – გამოძიება გრძელდება და მისი შედეგების კვალდაკვალ შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს მოქალაქეთა ინფორმირებას ამ საქმესთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ საქმის გამოძიებაში გაწეული ქმედითი დახმარებისათვის, – განაცხადა გიორგობიანმა.

არჩილ კბილაშვილი: „ხელისუფლებაში ფუნქციათა გადანაწილება მოხდა“

ნათია ხურცილავა

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი გუშინ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს შეხვდა.

შეხვედრა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, მისთვის დიდი პატივია, მეცნიერებათა აკადემიაში მიწვეული სტუმარი იყოს.

– როდესაც ბავშვი და სტუდენტი ვიყავი, ამაზე ვერც ვიოცნებებდი. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ამ შეხვედრას, ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მე გამაჩნია, როდესაც თქვენ წინაშე სიტყვით გამოვდივარ. მინდა, ეს შეხვედრა სასარგებლო აზრთა ურთიერთგაცვლისთვის იყოს. გამოსვლისას ვისაუბრებ, თუ რა ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში სამართალდაცვითი კუთხით, რა გამოწვევებია და როგორ წარმოგვიდგენია მათთან გამკლავება, შემდეგ კი თქვენს კითხვებს გავცემ პასუხს, – მიმართა მთავარმა პროკურორმა მეცნიერებათა აკადემიის წევრებს.

გუშინ არჩილ კბილაშვილმა გამახილა, რომ მთავარი პროკურორის პოსტი სრულიად მოულოდნელად მიიღო.

მთავარი პროკურორი ამბობს, რომ უკვე 11 თვეა, რაც მთავარ პროკურორად დაინიშნა და ეს შეთავაზება მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

– სრულიად მოულოდნელი იყო იმ თვალსაზრისით, რადგან მე სახელმწიფო სამსახურში არასოდეს მიმსახურია. 1993 წლიდან, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ადვოკატი ვიყავი. ბოლო პერიოდში, როდესაც საადვოკატო ხაზით რაიმე რეალური შედეგის მიღწევა შეუძლებელი გახდა, უკვე იძულებული გავხდი, დროებით ადვოკატობაზე ხელი ამეღო. ამ დროს, ბედად, გამოჩნდა ივანიშვილი, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ პოლიტიკაში აპირებდა მოსვლას, ამავდროულად, მას საადვოკატო მომსახურება დასჭირდა და მოგვიანებით, მისივე თხოვნით, პოლიტიკურ საქმიანობაში გადაიზარდა, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა აკადემიკოსებთან შეხვედრის დაწყებისას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კბილაშვილმა ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. პირველი კითხვა „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს საქმის გახსნას ეხებოდა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძია, როგორც მინისტრი ამბობს, ერთი თვის წინ, თუმცა გამოძიების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გახდა ცნობილი.

რატომ არ იცოდა აქამდე ამის შესახებ საზოგადოებამ, ამ კითხვას მთავარი პროკურორი ასე პასუხობს:

– თუ საქმე გარკვეული ნიშნით პოლიტიკურ შემადგენელს შეიცავს, მისი გავრცელება, შეიძლება, გარკვეული დროით შეფერხდეს.

არჩილ კბილაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება გონივრულ ვადაში მოხდა.

– საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა. უნდა ითქვას, რომ ესა თუ ის გამოძიება, რომელიც დასრულდება, საზოგადოებას, შესაბამისად, გონივრულ ვადაში უნდა ეუწყოს და ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ საქმეზე. თუ საქმე გარკვეული ნიშნით პოლიტიკურ შემადგენელსაც შეიცავს, მაშინ მისი გავრცელება, შეიძლება, გარკვეული დროის თვალსაზრისით შეფერხდეს, ვიდრე არ დადგინდება ან დაზუსტდება რაღაც პარამეტრები. ასე რომ, გონივრულობა ინფორმაციის გავრცელებისა ამ პირობითაა გამოწვეული. შესაბამისად, ამ ინფორმაციის გავრცელება გონივრულ ვადაში მოხდა, – განაცხადა კბილაშვილმა.

კითხვაზე, ხომ არ მოხდა ამის დაჩქარება თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების გამო, სადაც მან ამ საქმის გამოუძიებლობის გამო მწუხარება გამოთქვა, მთავარი პროკურორის განცხადებით, იგი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ალასანიას განცხადება დამაჩქარებელი ფაქტორი იყო.

– ინფორმაციის ის დოზა, რომელიც მოგეწოდათ, საჯაროდ არის განკუთვნილი. ყველა დანარჩენი, ამ საქმის თავისებურების გამო, საქმეში რჩება და კვლავინდებურად, თუკი დამატებით რაიმე სიახლე იქნება, შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებას მიაწვდის, – განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის განცხადებით, პროკურატურა ამ საქმეზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს.

– ჩვენს უწყებას გააჩნია ერთი კონკრეტული ნიშა. ესაა საპროკურორო ზედამხედველობა. გამოძიებას საგამინისტრო ახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სრულად ახორციელებს ყველა ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას, გეგმავს საგამოძიებო მოქმედებებს და, ბუნებრივია, ჩვენი უწყება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს. უმეტესი ხვედრითი წილი ამ გამოძიებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. სწორედ ამიტომ აუწყა მან საზოგადოებას მომხდარის შესახებ, – განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორი ფუნქციების გადანაწილებაზეც საუბრობს. ის ამბობს, რომ წარსულში ყველა საკითხს იუსტიციის მინისტრი წყვეტდა, ახალ ხელისუფლებაში კი ფუნქციათა გადანაწილება მოხდა.

თუმცა, მთავარი კითხვა კბილაშვილის პირველ მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს ეხებოდა – ვის რა ფუნქციები აქვს დღეს პროკურატურაში და რა საკითხებს წყვეტს ლაშა ნაცვლიშვილი?

კბილაშვილის თქმით, პროკურატურაში შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ფუნქციები გამიჯნულია.

– ესაა ჩემი ბრძანება, რომლითაც მოადგილეებს უფლებამოსილება აქვთ გადანაწილებული. ლაშა ნაცვლიშვილთან დაკავშირებით, ესაა სისტემაში წარმოებულ გამოძიებაზე ზედამხედველობა. ამასთან, არის ფინანსურ პოლიციაზე გამოძიების ზედამხედველობა, ტერიტორიულ ორგანოებზე წარმოებული საპროკურორო საქმიანობის ზედამხედველობა და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველა მოადგილე თავის ფუნქციას ასრულებს და ამ მხრივ რაიმე განსხვავებული არ ხდება, მაგრამ, იმის გამო, რომ გამოძიება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რასაც პროკურატურა ახორციელებს და ეს ლაშას საკურატორო სფეროა, ამიტომ, ბუნებრივია, ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს უდგას სათავეში. ის ახორციელებს იმ ფუნქციას, რაც მას ეკისრება, ხოლო მთავარი პროკურორი უშუალოდ რასაც ახორციელებს, ეს კანონში ცალკეა გაწერილი, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის მქონე პირთა დევნას. ეს იქნება მთავრობის წევრი, მოსამართლე, მაღალი სამხედრო წოდების მქონე პირი და სხვა. ამდენად, სრულიად ბუნებრივი პროცესი ხდება, ამ მხრივ რაიმე განსხვავებული ჩვენს შემთხვევაში არ არის, უბრალოდ, შეიძლება, გაკვირვებას იწვევდეს ის ფაქტი, რომ წარსულში ჩვენი ხელისუფლების მოსვლამდე ყველა საკითხს ერთი ადამიანი, იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრი წყვეტდა, რომელიც, ამავდროულად, გენერალური პროკურორი იყო. ჩვენს რეალობაში კი ფუნქციათა დანაწილება მოხდა და ყველა ადამიანი თავის ფუნქციას ასრულებს, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი ეხებოდა პოლიტიკური ნიშნით დევნას. მთავარი პროკურორი ემიჯნება იმ აზრს, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

ასე გამოეხმაურა არჩილ კბილაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დასკვნას, სადაც საუბარია საქართველოში პოლიტიკურ დაპატიმრებებზე და ამ კონტექსტში თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია მოხსენიებული.

– ცალკეული მოსაზრებები, თითქოს საქართველოში პოლიტიკურ დევნას ჰქონდეს ადგილი, ეს ჩვენთვის ახალი არ არის, მაგრამ ეს არა რომელიმე კონკრეტული უწყების ან დაწესებულების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული მოსაზრებებია. ჩვენ ამასთან დაკავშირებით პოზიცია არაერთგზის გამოგვითქვამს, რომ ყველა პროცედურა დადგენილი წესითა და მტკიცებულებების საფუძველზე ხორციელდება და, შესაბამისად, ამ აზრს ვემიჯნებით, – განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარ პროკურორს ჟურნალისტებმა ბარბარე რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებითაც დაუსვეს კითხვა, თუმცა, როგორც გაირკვა, კბილაშვილისთვის რაიმე სიახლე ცნობილი არ არის.

– რაიმე სიახლე ამ შემთხვევაში ჩემთვის ცნობილი არ არის, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

ირაკლი ალასანია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით სლოვენიაში გაემგზავრა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი ირაკლი ალასანია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულ ფორმატში ქართული მხარე 2006 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის ფორმატი რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას და მონაწილე ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ემსახურება.

მინისტერიალის ფარგლებში, ალასანია აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილესთან ეველინ ფარკასთან და სლოვენიის თავდაცვის მინისტრთან რომან იაკლიჩთან ორმხრივ შეხვედრებს გამართავს . შეხვედრებზე საუბრის მთავარი თემა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა იქნება. **ნიუსპრესი**

ზაზა გაბუნია: „გიგი უგულავა ცრუობს“

შორენა გონგლაძე

თბილისის მერის გიგი უგულავას ბიუჯეტის შემცირებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია ეხმაურება. როგორც გაბუნიამ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ უგულავა ცრუობს.

– თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი არ შემცირდება. სტატისტიკის მიხედვით, 2010 წელს ტრანსფერის ოდენობა იყო 324 მილიონი ლარი, 2011 წელს – 351 მილიონი ლარი, 2012 წელს – 420 მილიონი ლარი, ხოლო მიმდინარე 2013 წელს 448 მილიონი ლარია. ეს სტატისტიკა აჩვენებს, რომ გიგი უგულავა ცრუობს, როცა ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს მის წინააღმდეგ სადამსჯელო იარაღად იყენებს, რადგან 2010 წელს, როცა ფინანსთა სამინისტროს „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა, 324 მილიონი, ხოლო ხადურის მინისტრობის დროს 448 მილიონი მიეცა ტრანსფერის სახით თბილისის ბიუჯეტს, რაც მთელი 125 მილიონი ლარით მეტია და რაც აჩვენებს გიგი უგულავას ბრალდების უსაფუძვლობას, 2014 წლის თბილისის ბიუჯეტი არ შემცირდება და მაღალი ალბათობით, შესაძლებელია, ის წლევანდელთან შედარებით მეტი იყოს, – აცხადებს გაბუნია, მისსივე თქმით, ბიუჯეტის დიდი ნაწილი სოციალურ პროექტებს მოხმარდება.

შეგახსენებთ, რომ როგორც ქალაქის მერმა განაცხადა, თბილისის მერიის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარით შემცირდა. პროექტის მიხედვით, საქართველოში არსებული 70 თვითმმართველობიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ოდენობა 69-საქვს გაზრდილი. მხოლოდ ერთი თვითმმართველობის, თბილისის ბიუჯეტია შემცირებული. ქალაქის მერიის განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტში 2013 წელს თბილისის ტრანსფერის თანხა 488 მილიონითაა განსაზღვრული, ხოლო 2014 წელს, ტრანსფერის მოცულობა 50 მილიონით შემცირდა და 398 მილიონი ლარი შეადგინა. მერიაში განმარტავენ, რომ კანონმდებლობით, ტრანსფერის მოცულობის ზრდა ან შემცირება, ქვეყნის ეკონომიკის დინამიკასთან – ზრდასთან ან კლებასთანაა დაკავშირებული. მერიაში მიიჩნევენ, რომ ისეთ პირობებში, როდესაც მომავალი წლისთვის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5%-ით არის განსაზღვრული, თბილისის ბიუჯეტის ტრანსფერი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარით უნდა გაზრდილიყო. როგორც გიგი უგულავამ განაცხადა, ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულაში, რჩება მხოლოდ ერთი კომპონენტი, რაც 50 მილიონიანი შემცირება გამოიწვია. ეს არის ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება, სადაც დედაქალაქისთვის მინიჭებული სტატუსის კოეფიციენტის ცვლილება განხორციელდა და ამ ბრძანებით, ფინანსთა მინისტრმა დედაქალაქის სტატუსი დააკნინა. უგულავას თქმით, მიმდინარე წელს, სხვადასხვა დონეზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, თბილისის 2014 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაწევის აუცილებლობა გამოიწვია.

– რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის ცენტრალურმა მთავრობამ უარი განაცხადა, 2015 წელს, თბილისში, ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი სამუშაობის განხორციელების თანამონაწილეობაზე და ამ უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად ყველანაირი სამუშაო თბილისმა საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა დააფინანსოს. ამისთვის კი, 2014 წელს, დაახლოებით, 35 მილიონი ლარია აუცილებელი. სხვა შემთხვევაში, 2015 წელს, თბილისში, ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებას ჩაშლა ემუქრება, – განაცხადა უგულავამ.

ამის გათვალისწინებით, თბილისის მერმა, საქართველოს პრემიერმინისტრს, პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატებს მიმართა, რათა გადახედონ ბიუჯეტში ტრანსფერის საკითხს და აღნიშნულ თემაზე იმსჯელონ. მერი თბილისის საკრებულოს წევრებს მოუწოდებს, რომ მკაფიოდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია თბილისის წინააღმდეგ განხორციელებული ამ კონკრეტული ქმედების მიმართ. უგულავა აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებით ცენტრალურმა მთავრობამ თბილისის მერიასთან ერთად, რომელიც მთავრობას გუნდრუკს არ უკმევს, დასაჯა თბილისის მოსახლეობაც. უგულავამ 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტს, ხადურის „ჯიჰადი“ და მთავრობის სადამსჯელო ოპერაცია უწოდა.

გიგი უგულავას მიერ გაკეთებულ განცხადებას 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში ქ.თბილისისთვის ტრანსფერის თანხის შემცირების თაობაზე, ფინანსთა სამინისტრო აფასებს, როგორც მორიგ ტყუილს და საზოგადოებისთვის დეზინფორმაციის მიწოდების მცდელობად. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა სადაც ნათქვამია, რომ 2013 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტი მთლიანობაში შეადგენს 704,0 მლნ ლარს, აქედან 448,1 მლნ ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, 37,2 მლნ ლარი წლის დასაწყისში არსებული ნაშთი, ხოლო დანარჩენი 218,7 მლნ ლარი არის ქ. თბილისის საკუთარი შემოსავლები. გამომდინარე იქიდან, რომ ქ. თბილისის მერიის მხრიდან 2013 წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ათვისება შეაფერხა, 2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ქ. თბილისის ბიუჯეტის დეპოზიტზე არსებული ნაშთი შეადგენს 189,7 მლნ ლარს, რაც ნიშნავს, რომ 9 თვის განმავლობაში ქ. თბილისმა დააგროვა 150,0 მლნ ლარზე მეტი.

აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე, 2014 წლის დასაწყისისათვის თბილისის ბიუჯეტის დეპოზიტებზე ნაშთი გადააჭარბებს 100,0 მლნ ლარს და იქნება 63,0 მლნ ლარით მეტი, ვიდრე მიმდინარე წლის დასაწყისში, ხოლო ტრანსფერი 2013 წელთან შედარებით მცირდება მხოლოდ 49,9 მლნ ლარით. გარდა ამისა, 2014 წელს გაიზრდება ქ. თბილისის შემოსავლებიც, რის შედეგადაც 2014 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტის მოცულობა იქნება უფრო მეტი, ვიდრე 2013 წელს.

რაც შეეხება ტრანსფერის მოცულობის გაანგარიშებას – 2014 წლის ტრანსფერების გაანგარიშებისთვის შეიცვალა გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულა, კერძოდ, თბილისისა და ბათუმის სტატუსის კოეფიციენტები, რომლებიც სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით 4-ჯერ მეტი იყო და შეადგენდა 3,8-ს, შემცირდა და განისაზღვრა 2,8-ის ოდენობით. ასევე შემოღებულ იქნა მაღალმთიანობის კოეფიციენტი, რომელიც იძლევა საშუალებას უფრო მეტი დახმარება გაეწიოს მაღალმთიან რეგიონებს.

ტრანსფერის შემცირების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ მთლიანი ტრანსფერის მოცულობიდან 50,0%-ზე მეტი გამოყოფილია თბილისისთვის და აღნიშნული ტრანსფერის ფარგლებში შესაძლებელია, სრულად დაფინანსდეს თბილისის ფუნქციების განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის, სოციალური მიმართულებით, რომელთა შორისაცაა საბავშვო ბაღების გაზრდილი ხარჯები.

რაც შეეხება თბილისში „ახალგაზრდა ოლიმპიური ფესტივალის“ ორგანიზებას, თბილისის მერის განცხადება, თითქოს მთავრობამ უარი განაცხადა მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებაში თანამონაწილეობაზე, კიდევ ერთი სიცრუეა, რადგან თბილისის 2015 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2013 წელს უკვე გამოიყო 6,5 მლნ ლარი სპორტული დარბაზების რეაბილიტაციისათვის, ხოლო ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისთვის ყოველწლიურად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1,5 მლნ ლარი.

ფინანსთა სამინისტრო მოუწოდებს თბილისის მერს და „ნაციონალურ მოძრაობას“, შეწყვიტოს თბილისელებისთვის მორიგი ცრუ ინფორმაციის ტირაჟირება და დედაქალაქის დაფინანსებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს რეალური ციფრები, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ზაზა გაბუნია საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარის, მამუკა კაციტაძის განცხადებასაც გამოეხმაურა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღის დაზუსტებასთან დაკავშრებით. როგორც გაბუნიამ განაცხადა, კაციტაძის სურვილი გასაგებია, მაგრამ არსებობს ვადები და ამ დროისთვის სამუშაო პროცესი მიმდინარეობს.

ხადურს უფლებები შეეზღუდა

შორენა გონგლაძე

ბიზნესსფეროს ნარმომადგენლები საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს გაეცნენ. ბიზნესასოციაციის წევრებს თბილისში, სასტუმრო „ჰედისონში“ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, შემოსავლების სამსახურის უფროსი ლაშა ხუციშვილი და უწყების სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ.

შეხვედრა ბიზნესასოციაციის ინიციატივით გაიმართა. ფინანსთა უწყებამ მის წევრებს ახალი საკანონმდებლო ინიციატივები გააცნო. როგორც ნოდარ ხადურმა აღნიშნა, ამ ინიციატივების მიზანი სამართლებრივი ადმინისტრირებისათვის სამართლიანი ბაზის შექმნა, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა და კანონმდებლობაში არსებული ტექნიკური უზუსტობებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრაა.

მისი თქმით, უქმდება საგადასახადო კოდექსის მეორე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომლის თანახმადაც, ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს განმარტოს ამავე კოდექსის ცალკეული ნორმები და ის თავისი შეხედულებებისამებრ საქართველოს მთავრობას შეუთანხმოს.

– ფინანსთა მინისტრის ეს უფლება იზღუდება ანუ მას საშუალება აღარ ექნება განმარტოს კანონი და სათანადო გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღოს. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებაა საგადასახადო შემოწმების, გადასახადის დარიცხვისა და იძულებითი ღონისიებების გასატარებლად არსებული ხანდაზმულობის ვადის 6-დან 3 წლამდე შემცირება. მისი შემცირების პროცესი 2015 წლიდან ეტაპობრივად დაიწყება და 2017 წლისათვის ხანდაზმულობის ვადად უკვე 3 წელი განისაზღვრება, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ამავე ცვლილებებით საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია საგადასახადო ომბუდსმენისათვის და მისი მოადგილისათვის ხელმისაწვდომი გახდება. საგადასახადო დავალიანების შემცირების გარდა, ყველა სახის საგადასახადო შეთანხმება უქმდება. ასევე ზუსტდება, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდებას ანდა მომსახურების გაწევას ექვემდებარება. შეხვედრის მონაწილეებს ასევე დეტალურად განემარტათ დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების პროცედურები.

როგორც ცნობილია, დაუბეგრავი მინიმუმი დაბალი შემოსავლის მქონე პირებს დაუწესდათ, რომელთა ხელფასის სახით მიღებული წლიური დასაბეგრი შემოსავალი 6. 000 ლარს არ აღემატება.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში მონაცემების დეკლარაციების საფუძველზე იმ პირთა სია შეიქმნება, რომლებიც ამ შეღავათით ისარგებლებენ. დაქირავებული ფიზიკური პირი შემოსავლების სამსახურში დეკლარაციის წარდგენის შემდეგ დამქირავებლის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის ხელფასის გაცემისას დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს დაიბრუნებს, რომლის მაქსიმალური ოდენობა 360 ლარი იქნება. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბიზნესასოციაციის წევრების შეკითხვებს უპასუხეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა ბიზნესექტორსა და ფინანსთა სამინისტროს შორის თანამშრომლობა აქტიურად გაგრძელდება.

ხადურის განცხადებით, კერძო სექტორის განვითარებას საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების მოწესრიგება უნდა მოჰყვეს.

ჟურნალისტები მინისტრის კომენტარით ვიპიაის იმ კვლევაზე დაინტერესდნენ, რომლის თანახმადაც, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას აღემატება. შესაბამისად, საჯარო სექტორის შემოსავალი და ხელფასები კერძო სექტორისაზე მეტია, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. კითხვაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ სიტუაციის დასაბალანსებლად, ნოდარ ხადურმა აღნიშნა:

–ეს არის ინვესტიციები, კერძო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მიზნად დასახულია. ვიცით, რომ კერძო სექტორის განვითარებას საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების მოწესრიგება უნდა მოჰყვეს.

ფინანსთა მინისტრი ასევე 2014 წლისათვის ეკონომიკის 5-პროცენტიან ზრდას „კონსერვატიულ პროგნოზად“ მიიჩნევს.

– ვფიქრობთ, ეკონომიკის 5-პროცენტიანი ზრდის პროგნოზი ძალიან კონსერვატიულია. მიმდინარე წლის ბოლოს და მომავალი წლის დასაწყისში ინვესტიციების მოცულობის რადიკალურ ზრდას ველით. ეს კი ეკონომიკას კიდევ უფრო გაზრდის, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მამუკა კაციტაძე: „როდის უნდა ჩატარდეს თვითმმართველობის არჩევნები“?

შორენა გონგლაძე

საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდებს, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ობიექტურად

და სამართლიანად ჩატარებისთვის მოახერხონ და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში სასწრაფოდ უზრუნველყონ თვითმმართველობების ჩართულობა.

კაციტაძის განცხადებით, ხელისუფლებამ შემდეგ კითხვებს გასცეს პასუხი: რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში უნდა ჩატარდეს არჩევნები, ანუ სად იქნება თვითმმართველობები საქართველოში 2014 წლიდან და როგორი საარჩევნო სისტემით უნდა ჩატარდეს ეს არჩევნები. კაციტაძე ასევე მოითხოვს, ხელისუფლებამ ადგილობრივი არჩევნების თარიღი დააკონკრეტოს. მისივე თქმით, დღემდე ეს კითხვები პასუხგაუცემელია.

– მიმდინარე წლის თებერვალში მინიტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილებით მოწონებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გეგმა და გაიცა დავალება შესაბამის სამინისტროზე, რომ თვითმმართველობებთან ყოფილიყო შეხვედრები, მათთან კონსულტაციების შედეგად მიეღო საბოლოო სახე ამ კონცეფციას. დღემდე დედაქალაქში, რომელიც ყველაზე დიდი თვითმმართველობაა საქართველოში, არანაირი კონტაქტი არ ყოფილა არც სამინისტროს მხრიდან, არც კანცელარიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან, არც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მხრიდან, – აცხადებს კაციტაძე.

მისივე განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ერთიანი პოზიციის შემუშავება ვერ მოახერხა და ამას ეწირება არჩევნების ბედი, თარიღი და სისტემა.

– დღესვე დააკონკრეტონ, როდის უნდა ჩატარდეს არჩევნები რეალურად. კანონის თანახმად, მაის-ივნისში უნდა ჩატარდეს. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პროცესი გაურკვევლად იწელება, ჩვენ გვაინტერესებს, დღესვე იცოდეს ქართულმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა, თუ როდის უნდა ჩატარდეს 2014 წლის არჩევნები, – აცხადებს კაციტაძე.

ირანის მოქალაქეს ნარკოტიკების შემცველი პრეპარატები აღმოაჩნდა

შემოსავლების სამსახურის ცნობით, საბაჟო გამშვები პუნქტის, „ვალეს“, ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე სინა ა. შემოვიდა. დათვალიერებისას, მოქალაქის კუთვნილ ავტომანქანაში, სხვა მედიკამენტებთან ერთად, აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალების შემცველი პრეპარატები, კერძოდ: „დიფენოქსილატი“ – 9 აბი , „აცეტამინოფენ კოდინი“ – 18 აბი, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი პრეპარატი „ოქსაზეპამი“ – 6 აბი.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას.

მედიანიუსი

კობა დავითაშვილი ქუთაისელ ამომრჩეველს შეხვდა

პრეზიდენტობის კანდიდატმა საკუთარ საარჩევნო პროგრამაზე საუბრისას განაცხადა, რომ პრეზიდენტობის შემთხვევაში მისი პრიორიტეტი ქვეყნის ტერიტორული მთლიანობის აღდგენა და ქართული მიწების საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისების აკრძალვა იქნება.

მისივე თქმით, „პრეზიდენტმა ქვეყნის წარმომადგენლის ფუნქცია უნდა იტვირთოს, რასაც ამ დრომდე არ ასრულებდნენ“. შეხვედრა სასტუმრო „ბაგრატის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

პირველი

„დემოკრატიული მოძრაობა“ „ქართულ ოცნებასა „ და „ნაციონალურ მოძრაობას“ დევნილების შანტაჟში ადანაშაულებს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ აცხადებს, რომ მათი ინფორმაციით, ,,ნაციონალური მოძრაობისა“ და ,,ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატთა წარმომადგენლები დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში დევნილებს აშინებენ და აშანტაჟებენ.

როგორც პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ,,ქართული ოცნებისა“ და ,,ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორები პირად საუბრებში, დევნილებს ეუბნებიან, რომ იმ შემთხვავაში, თუ ხმას არჩევნებზე მათთვის სასურველ კანდიდატს არ მისცემენ საცხოვრებელი ფართები არ დაუკანონდებათ, მათი გამოსახლება დაიწყება და 22 ლარიანი ყოველთვიური დახმარება შეუწყდებათ.

„ასევე, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში, რაიონულ გამგეობებში იბარებენ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტების ამხანაგობების თავმჯდომარეებს, ავალებენ სიების მიტანას და სხვადასხვა მოტივით ურიცხავენ თანხას ერთ ოჯახზე ასი ლარის ოდენობით. ყოველივე ეს ხდება ,,შეხმატკბილებული“ კოობიტაციის პირობებში, ანუ იმ რაიონების გამგეობებში, რომელსაც აკონტროლებს ,,ქართული ოცნება“ თანხას უხდიან ოცნების მხარდამჭერებს, ხოლო იქ, სადაც ,,ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაა თანხა ერიცხებათ ,,ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს“ – აცხადებენ პარტიაში.

პარტია პარალელს 2012 წლის ოქტომრის არჩევნებამდე არსებულ მდგომარეობასთან ავლებს და ამბობს, რომ ეს ყოველივე ფაქტიურად არც კი განსხვავდება იმდროინდელი ზეწოლისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის მეთოდებისგან.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აღნიშნულ ინფორმაციას როგორც უწყებათაშორის კომისიას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიაწვდის. პარტია აღნიშნავს, რომ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აღარასოდეს დაირღვევა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და ვერავინ გაბედავს მათ ძალით გამოსახლება-გადასახლებას.

„ ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ჩნდება რეალური შანსი იმისა, რომ აღდგეს ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები“ – აცხადებენ „დემოკრატიულ მოძრაობაში“.

ნიუსპრესი

შალვა ნათელაშვილი ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

„ლეიბორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს მატეო მეკაჩის შეხვდა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და 27 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე ისაუბრეს. შალვა ნათელაშვილმა მისიის ხელმძღვანელს წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ საკუთარი ხედვები გაუზიარა. მან აღნიშნა, რომ „ლეიბორისტულ პარტიას“ საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრი არ ჰყავს, არ აქვს დაფინანსება, გარდა ცენტრალურისა, არ აქვს ოფისი და მოხსნილი აქვს უფასო სარეკლამო დრო ტელევიზიებში.

„უსამართლობაა, რომ ისეთი პარტიები, სადაც მხოლოდ თავმჯდომარე და ბუღალტერია, კვალიფიციურია და „ლეიბორისტული პარტია“ – არაკვალიფიციური. ასეთ უსამართლო პირობებში გვიწევს საარჩევნო კამპანიის ჩატარება“ – განაცხადა ნათელაშვილმა.

მისი თქმით, ის ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ,,ქართულ ოცნებას“ შორის პირველი-მეორე ადგილების გადანაწილებისთვის ფარული გარიგება მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

სასჯელაღსრულების სამინისტრო პატიმართა ოჯახებს აფრთხილებს

სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ინფორმაციით, პატიმრობაში მყოფი პირები საკუთარი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, სამედიცინო მომსახურებისთვის თანადაფინანსების თხოვნით უკავშირდებიან.

„იქნებ გამომიგზავნოთ ფული, ძვირადღირებული ოპერაცია მჭირდება და სამინისტრო მხოლოდ 8 500 ლარს მიფინანსებს“ – ამ ტიპის თხოვნა რამდენიმე მსჯავრდებულის ოჯახს მიუვიდა. სამინისტრო მოქალაქეებს ურჩევს, მსგავსი სპეკულაციისგან თავის დაზღვევის მიზნით, ინფორმაცია სამედიცინო დეპარტამენტში, ტელეფონის ნომერზე – 231-27-47 გადაამოწმონ.

სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგნელთა განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დეპარტამენტი ოჯახთან დაკავშირებას თავად უზრუნველყოფს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე 5139-მა მსჯავრდებულმა მიიღო სამედიცინო მომსახურება პენიტენციური სისტემისა და სამოქალაქო ჯანდაცვის საავადმყოფოებში და არცერთ ამ შემთხვევაში თანადაფინანსება არ ყოფილა – მათი მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტმა 100%-ით დააფინანსა.

სასჯელაღსრულების სამინისტრო მსჯავრდებულთა ოჯახებს აცნობებს, რომ სამედიცინო რეფერალის თითოეული შემთხვევა ელექტრონულ სამედიცინო პროგრამაში რეგისტრირდება და დაინტერესების შემთხვევაში, ინფორმაციის გადამოწმება ადვილია.

მედიანიუსი

პარტია „ახალი მემარჯვენეები“ ხელისუფლებას უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს

პარტია „ახალი მემარჯვენეები“ კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული სიტუაციის მიმართ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არაადექვატური და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება აქვს.

პარტიის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მათი განხადებით, პრემიერ -მინისტრი არ მიიჩნევს საჭიროდ ოფიციალური საგანგებო განცხადება გააკეთოს, როგორც ქვეყნის ფაქტიურმა პირველმა პირმა, გააპროტესტოს რუსეთის აგრესია და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დემოკრატიულ სახელმწიფოებს მხარდაჭერისკენ მოუწოდოს.

,,პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მას არ სცალია, ანუ არ თვლის თავს მოვალედ დიცსა და დვანში, კირბალსა თუ ზოგადად კონფლიქტის ზონის სოფლებში ჩავიდეს. როცა მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი აცხადებს, რომ ეს პრობლემა წინა ხელისუფლების დანატოვარია და ახალ ხელისუფლებას ამაზე პასუხისმგებლობა არ აქვს, საქმე გვაქვს საგანგაშო მოვლენასთან: ხელისუფლება ან კაპიტულაციას აცხადებს, ან უარს ამბობს უპირველესი მოვალეობის შესრულებაზე – დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები და უსაფრთხოება“ – აცხადებენ მემარჯვენეები.

პარტიის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებას არავინ სთხოვს საომარი მოქმედებების დაწყებას და ძალის გამოყენებას. „მისგან ვითხოვთ კონსტიტუციური მოვალეობების შესრულებას და მკაფიო და პრინციპულ პოლიტიკურ ნაბიჯებს“ -ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ნიუსპრესი

გიორგი თარგამაძე ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი თარგამაძე, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. გიორგი თარგამაძის თქმით, საუბრის ძირითადი თემა საარჩევნო გარემო და ის შეფასებები იყო, რომლებიც ობიექტურ ფაქტებს ეყრდნობა.

„ეუთოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, გამოვიყენე შესაძლებლობა ხაზი გამესვა საქართველოს ტერიტორიაზე ეუთოს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის აღდგენის აუცილებლობაზე. მოგეხსენებათ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივად არ მოქმედებს არც ერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია, რომელიც ეთნიკური ქართველების ბედზე და დაცვაზე იზრუნებდა, განსაკუთრებით გალის რაიონში. ამდენად, ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც რომელიც საქართველოში ეუთოს გრძელვადიანი მისიის აღდგენას ბლოკავს. აუცილებელია ამ მისიის აღდგენა და მისი მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით „– განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მედიანიუსი

აშშ რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბარიერების აღებისკენ მოუწოდებს

აშშ რუსეთს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე განლაგებული ბარიერების დემონტაჟისკენ მოუწოდებს. საქართველოში მიმდინარე პროცესებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამოეხმაურნენ. ყოველდღიურ ბრიფინგზე განცხადება უწყების სპიკერის მოადგილემ მერი ჰარფმა გააკეთა.

„ჩვენ შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს რუსული სამხედრო ძალის ქმედებებს, რომელიც აგრძელებს მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების შექმნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებზე“ – განაცხადა ჰარფმა.

მისი თქმით, აღნიშნული პროცესი ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, ასევე, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში; სირთულეებს უქმნის საქართველოს მოქალაქეებს სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს.

„მოვუწოდებთ რუსეთს აიღოს ბარიერები“ – განაცხადა მერი ჰარფმა.

ნიუსპრესი

გიგი უგულავა: ,,ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს საქმესთან დაკავშირებით გამოძიების ვერსიაში ეჭვს ვერ შევიტანთ“

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, ის დღეს ,,ჯიჰადის“ სახელით გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვერსიაში ეჭვს ვერ შეიტანს. უგულავა აღ-

ნიშნულ საკითხს ,,ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელებული ვიდეოთი გამოეხმაურა. მისი თქმით, რაც მან მოისმინა, თვითონ დანაშაულის სქემა საკმაოდ მწყობრი და ლოგიკურია.

„ამიტომ, ამ თვალსაზრისით ეჭვს ვერ შევიტან, რადგან მე არ მაქვს მეტი ინფორმაცია. თუმცა, ბუნებრივია, ისევე, როგორც მე, ასევე საზოგადოების ძალიან ბევრს წევრს გაუჩნდება შეკითხვა იმ ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, რაც ამ ყველაფრის გამოცხადებას ახლდა თან. ჩვენ ჯერ ვნახეთ ერთი მინისტრის წუხილი, რომ არ არის გახსნილი, შემდეგ ვნახეთ ნიშნის მოგებით მეორე მინისტრის განცხადება, რომ თითქოს გახსნილია ერთი თვეა. ახლა ვიხილეთ, რომ გახსნილია ერთი თვეა. წინააღმდეგობრივი იყო განცხადებაც. ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, საზოგადოებას ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ სასამართლომ იმ პირს აღმკვეთი შეუფარდა და თითქოს დაპატიმრებული იყო. თურმე დაპატიმრებული კი არაა, საქართველოს მოქალაქეც არაა და არც საქართველოდან არ განხორციელებულა“,-განაცხადა უგულავამ და დასძინა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი შეიძლება იყოს მთავრობის შიდა კომუნიკაციური პრობლემები, ან მთავრობის კომუნიკაციის პრობლემა საზოგადოებასთან.

მედიანიუსი

შალვა ნათელაშვილი: „შაბათ-კვირას მარგველაშვილის სახლში ბოკერია და მაჭავარიანი იკრიბებიან“

გუშინ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა პარტიის ოფისში ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი მატეო მეკაჩი მიიღო. როგორც „მედიანიუსს“ პარტიიდან აცნობეს, შეხვედრისას საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და 27 ოქტომებრს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს. პრეზიდენტობის კანდიდატმა, შალვა ნათელაშვილმა მისიის ხელმძღვანელს იმ უსამართლობისა და უთანასწორობის შესახებ ესაუბრა, რაც საარჩევნო კამპანიის პირობებში ხდება. კერძოდ, ლეიბორისტულ პარტიას არ ჰყავს საარჩევნო უბნებზე კომისიის არცერთი წევრი, არ აქვს დაფინანსება, არ გააჩნია არცერთი ოფისი, გარდა ცენტარლური ოფისისა. მოხსნილი აქვს უფასო სარეკლამო დრო ტელევიზიებში, ბიზნესს ეკრძალება პარტიის დაფინანსება.

„უსამართლობაა, რომ ისეთ პარტიებს, სადაც მხოლოდ თავმჯდომარე და ბუღალტერია, არის კვალიფიციური და ლეიბორისტული პარტია არაკვალიფიციური. ასეთ უსამართლო პირობებში გვიწევს საარჩევნო კამპანიის ჩატარება.“ – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, მსხვილ ბიზნესს ისევე, როგორც სააკაშვილი ივანიშვილიც უკრძალავს ლეიბორისტებთან ურთიერთობას.

„არის უტყუარი ინფორმაცია, რომ ყოველ შაბათ-კვირას დუშეთში მარგველაშვილის საცხოვრებელ სახლში იკრიბებიან ბოკერია და მაჭავარიანი, მიმდინარეობს ფარული გარიგება „ნაცებსა“ და „ოცნებას“ შორის პირველ-მეორე ადგილების გადანაწილებისათვის. მე ვპირდები ამ ორ კორუპირებულ, ქვეყნის დამაქცევარ ჯგუფებს, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ხალხს დავუძახებთ ქუჩაში და ამ უსამართლობას აღარ ვაპატიებთ!“ – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მედიანიუსი

გიორგი მარგველაშვილი: „არ ვაპირებ, რომ მომგებიანი და პიარული ნაბიჯები გადავდგა“

კოალიცია ,,ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ის არ აპირებს მომგებიანი და პიარული ნაბიჯების გადადგმას. ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას მარგველაშვილმა, დიცში და დვანში მის შესაძლო ჩასვლაზე კომენტირებისას განაცხადა.

,,დიცი და დვანი უაღრესად მტკივნეული თემაა. ამავე დროს თქვენ გესმით, რომ ახლა არის საარჩევნო პერიოდი და ნებისმიერი ხმამაღლი ნაბიჯი კანდიდატისგან მისთვის მომგებიანია. მაგრამ მე არ ვაპირებ, რომ მომგებიანი და პიარული ნაბიჯები გადავდგა. დიცში და დვანში არსებული ვითარება უაღრესად ფაქიზია. მე ვხედავ აქ პროვოკაციის საშიშროებას, განსაკუთრებით არჩევნების პროცესში“– განაცხადა მარგველაშვილმა.

მედიანიუსი

სკოლის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე ჩატარდა

პროექტ „მარტო სამშობლო რა სათქმელიას“ ფარგლებში, მცხეთაში მე-11 მექანიზირებული ბატალიონის ბაზაზე მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე მოეწყო. რუსთავის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს მასპინძლობა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მიხეილ დარჩიაშვილმა და I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის სამხედროებმა გაუწიეს.

ჯარისკაცებმა ბავშვებს ბაზაზე არსებულ გმირთა მემორიალთან ბატალიონის ისტორია გააცნეს და სამხედრო ტექნიკა და ბაზის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს. სამხედრო ინსტრუქტორებმა მათ ტექნიკისა და იარაღის გამოყენების წესები და მოქმედების პრინციპები გააცნეს. დღესვე, მოსწავლეებმა სამხედროებთან ერთად ისადილეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგებმა მე-12 ბატალიონს მაცხოვრის ხატი უსახსოვრეს, ჯარისკაცებმა კი პროექტის მონაწილეებს მადლობის სიგელები და ტკბილეული დაურიგეს, – აცნობეს „მედიანიუსს“ ტავდაცვის სამინისტროდან.

„ეს ის ბავშვები არიან, რომლებმაც ჩვენ სამხედროებს, რომლებსაც ნატოს კოალიციურ ძალებთან ერთად გლობალური უსაფრთხოების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, ავღანეთში წერილები მიწერეს. ასეთი სახის ღონისძიება ძალზე მნიშვნელოვანია თოთოეული ჩვენი სამხედროსთვის, რათა მათ იგრძნონ რომ მთელი ერი დგას მათ გვერდით, განსაკუთრებით კი ახალი თაობა. გასაოცარია ის აღქმა, რაც ჩვენს ბავშვებშია – თუ რატომ იბრძვიან ჩვენი სამხედროები ქვეყნის გარეთ და რატომ იღებენ საერთაშორისო სტაბილურობის ოპერაციებში მონაწილეობას. ეს ძალზე დასაფასებელია. მინდა, პირველ რიგში მადლობა გადავუხადო ამ ბავშვებს, მათ მშობლებს და პედაგოგებს. ჩვენს ბიჭებს კი, რომლებიც დღეს ავღანეთში იბრძვიან სახლში მშვიდობით დაბრუნება ვუსურვო“ – განაცხადა მიხეილ დარჩიაშვილმა.

ჯარისკაცებმა გუშინ გამართული ღონისძიებით, მე-2 საჯარო სკოლის იმ მოსწავლეებს გადაუხადეს მადლობა, ვინც პროექტის ფარგლებში, სამხედროებს IშI -ის მისიაში ყოფნისას წერილები გაუგზავნეს. მისიის დასრულების შემდეგ კი, წერილების ავტორებმა ადრესატებს სკოლაში უმასპინძლეს და კონცერტი გაუმართეს. შემეცნებითი პროექტი მომავალ თაობებში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას ისახავს მიზნად.

მედიანიუსი

არადეკლარირებული საქონელი მატარებლის გამცილებელს გადაპქონდა

შემოსავლების სამსახურის ცნობით, სამგზავრო მატარებლის „მახინჯაური-თბილისი-ერევანის“ დათვალიერებისას, გამცილებელს, სომხეთის მოქალაქე ვარდან ბ.-ს არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩნდა. მატარებლის გამცილებელს, კერძოდ, გადაჰქონდა 92 ცალი მობილური ტელეფონი და 5 ცალი პლანშეტური კომპიუტერი. საქონლის სატარიფო ღირებულებამ შეადგინა 5009,57 ლარი.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ პიროვნებას სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 5009,57 ლარის ოდენობით.

მედიანიუსი

ნინო ბურჯანაძე: „ხელისუფლებასთან პრეტენზიები მაქვს, რადგან ის საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებით აბსოლუტურად არაქმედითია“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ საფრანგეთის ელჩს საქართველოში რენო სალენსს შეხვდა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაცით, შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა, საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენები იყო. საფრანგეთის ელჩი დაინტერესდა ასევე წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სამართალდარღვევათა კონკრეტული ფაქტებით და ნინო ბურჯანაძის შეხედულებით არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

პრესსამსახურის ცნობითვე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან, ქვეყნისთვის სერიოზული მხარადჭერა იქნება.

„ამასთან, მე ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასთან პრეტენზიები მაქვს, რადგან ის აბსოლუტურად არაქმედითი და არაეფექტურია. მე წესიერად ისიც კი ვერ გავიგე, რა პოზიცია აქვთ ხელისუფლების უმაღლეს პირებს ამ საკითხზე. ისინი საუბრობენ ყველასთან და ყველაფერზე, გარდა იმისა რაც ქვეყნისათვის ყველაზე მტკივნეული და უმთავრესი თემაა“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ შეხვედრისას.

მანვე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ წინასაარჩევნო გარემო ბევრად თავისუფალია, კამპანია არასამართლიანად და არათანაბარ გარემოში მიმდინარეობს, რადგან ძირითადი კონკურენტებისგან განსხვავებით, მას არ აქვს შეაძლებლობა ისარგებლოს უფასო სარეკლამო დროით, ხოლო საარჩევნო კომისიები მხოლოდ კონკურენტი პარტიების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

„ყველა ელჩისთვის უცნაურია, ფორმულირება, რომლის გამოც ნინო ბურჯანაძეს არ მიეცა არც დაფინანსება და არც უფასო საეთერო დრო, რადგან ევროპული პრაქტიკა, რაზეც ხშირად ლაპარაკობენ ჩვენი ე.წ პროდასავლური პოლიტიკოსები, სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თანაბარი პირობები უნდა ჰქონდეს“-ნათქვამია პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით კი, „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ უკვე მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მარეგულირებელ კომისიას უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებით. ის იმედს იტოვებს, რომ მათი მხრიდან ობიექტური გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

„რაც ყველაზე ცუდია, მგონი დებატებსაც არ აპირებს ორი სახელისუფლებო კანდიდატი. სახელისუფლებოში „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ, რადგან ყველა ვხედავთ, რომ დღეს ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა. მე იმედი მქონდა, რომ დებატები გაიმართებოდა და მოსახლეობას ექნებოდა შესაძლებლობა ობიექტური ინფორმაციის შედეგად, არჩევანის გაკეთებისას სწორი გადაწყვეტილება მიეღო“ – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი უკვე შეხვდა ესტონეთის, შვეიცარიის, ა.შ.შ-ს, შვედეთის სამეფოს, იტალიის, პოლონეთის, თურქეთის, ლატვიის, ნიდერლანდების, ბულგარეთისა და ევროკავშირის ელჩებს.

ნიუსპრესი

ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

132 ქართველი სამხედრო დღეს სამშობლოში დაბრუნდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის სამხედროები ავღანეთში 6 თვის განმავლობაში აისაფის მისიის ფარგლებში წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი ზაზა ლელაძე დახვდნენ.

ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ. მათ მთავარ ამოცანას პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა წარმოადგენდა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 42-ე ბატალიონის სამშობლოში დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება. სამხედროები მიმდინარე თვის ბოლომდე სრულად ჩამოვლენ და მათ ავღანეთში ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები ჩაანაცვლებენ.

ნიუსპრესი

მარტყოფის მოსახლეობა ტალახიან წყალს სვამს

მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

მერი ნამორაძე

მარტყოფელები ათეული წლებია, ტალახიან წყალს სვამენ, ითმენენ კანალიზაციის უქონლობასა და ათხრილ ქუჩებს. როგორც მარტყოფის მცხოვრებმა, კინოსცენარისტმა, ქალბატონმა ლეილა ბეროშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, თბილისთან ახლოს მდებარე ისტორიულ სოფელ მარტყოფს ყოველგვარი რიტორიკის გარეშე შეიძლება ეწოდოს მონათა ქვეყანა.

ლეილა ბეროშვილი:

– საგანგაშო მარტო ის კი არ არის, რომ სოფელი ათეული წლების განმავლობაში ტალახს, საფლავებისა და საქონლის სადგომების ნარეცხს სვამს და ახლა ეს ნარეცხიც სანატრელი გახდა, ითმენს კანალიზაციის უქონლობას, ათხრილ ქუჩებს. საგანგაშო, თუ მეტი არა, ის არის, რომ ეს ყველაფერი ადამიანებს აღარ აწუხებთ ან, თუ აწუხებთ, ცხოველური შიშის გამო ხმას ვერ იღებენ. ამაზე უარესს საკუთარ ხალხს ვერაფერს დამართებ.

გასაკვირია და დღემდე ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გააცნობიერა, რა საშიშია ქვეყნის სულიერი (და არა მარტო სულიერი) განვითარებისთვის ადამიანის ისე დამცირება, რომ ვეღარ არჩევდეს, სუფთა წყალს სვამს თუ ტალახიანს.

– დაუჯერებელია, ტალახიან წყალს როგორ სვამს მარტყოფის მოსახლეობა?

– ვისაც საშუალება აქვს, წყალს თბილისიდან ეზიდება, ვისაც საშუალება აქვს – ყიდულობს, ნაწილი მარტყოფის ისტორიული უბნიდან – ტევალიდან ეზიდება.

– როდემდე აპირებს მოსახლეობა ასეთი ვითარების ატანას?

– მარტყოფელების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, ბრძოლა დაეწყო საკუთარი ღირსებისთვის – დაწერა განცხადება მთავრობის სახელზე, რომელსაც სამასი ადამიანი აწერს ხელს და ითხოვს სასმელი წყლის, მდინარის (წლების განმავლობაში ფეკალიებით ბინძურდება), კანალიზაციისა და გზების მოწესრიგებას.

გადავწყვიტეთ, ჯერ სოფლის გამგებელი გენადი იორდანაშვილი გვენახა – თუ სხვას ვერაფერს გამოვრჩებოდით, გუბერნატორ კირკიტაძისა და რაიონის გამგებლის ტელეფონის ნომრებს მაინც გამოვართმევდით.

გამგებლის პასუხი ერთდროულად დამაჯერებელიც იყო და შემაძრწუნებელიც: კირკიტაძის ტელეფონის საიდან მეცოდინება, ერთხელ თვითონ დამირეკა, ისიც ქალაქის ტელეფონით, დაბადების დღე მომილოცა – წესი აქვთ, თანამშრომლებს დაბადების დღეს ულოცავენ და ეს იყო! კაბინეტში ერთხელაც არა ვყოფილვარო!

სოფლის გამგებელს არა აქვს გუბერნატორის ტელეფონი, არ შეაქვს წინადადებები, პროექტები, არ იმუქრება წასვლით, თუ წყლისთვის და გზებისთვის გამოყოფილ თანხებს სოფელს არ მოახმარენ!

სოფლის გამგებლის კაბინეტიდან გამოვედით და რაიონის გამგებელ ნუგზარ ჩადუნელთან გავწიეთ – არც ისე საწყალი და უფუნქციო აღმოჩნდა სოფლის გამგებელი – გამოვედით თუ არა მისი კაბინეტიდან, მაშინვე უცნობებია ჩადუნელისთვის – მოდიანო!

რაიონის გამგებელი „მომზადებული“ შეგვხვდა – სანამ ჩვენს გასჭირზე რამეს ვეტყოდით, წინ პრემიერ-მინისტრისა და ნარმანიას ხელმოწერილი ორი განცხადება დაგვიდო: რაიონის გამგეობას მთავრობისთვის მარტყოფში სასმელი წყლისა და გზების მოსაწესრიგებელი თანხის გამოყოფისთვის მიუმართავს.

სასმელი წყლისთვის ხელისუფლებას ოთხმოცი ათასი ლარი გამოუყვია და გზებისთვის – ას ოცდათორმეტი ათასი ლარი.

ნიშანდობლივია, რომ ამ სასიხარულო ფაქტის შესახებ არაფერი იცოდა სოფლის გამგებელმა. კიდევ უფრო უცნაური ის იქნება, თუ იცოდა და გამხელის უფლება არ ჰქონდა.

ჩადუნელს ვთხოვეთ, ხელმოწერილი დოკუმენტების ქსეროასლები – თითქოს სიმბოლურია, სოფელში „სამასი მარტყოფელი“ გველოდა, რომელთაც გაბედეს და ხელი მოაწერეს განცხადებას სასმელი წყლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ჩადუნელი ჯერ დაგვპირდა, მოგცემთ ქსეროასლებსო, მაგრამ იქვე გადაიფიქრა – პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებთო!

– როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა?

– ძნელი ამოსაცნობია, რას გულისხმობდა. ის სრულიად სხვა განზომილებაში ცხოვრობს. მისთვის სასმელი წყლით სოფლის უზრუნველყოფა პოლიტიკასთან არის დაკავშირებული – ერთი საათით ადრე გამაფრთხილეთ, ხალხიც გააფრთხილეთ, ჩამოვალ და თვითონ ჩამოვიტან ამ სასიხარულო ამბავს და თვითონვე შევატყობინებ მარტყოფელებსო!

ამ დროს ვიღაცის ზარი გაისმა. ჭარხალივით გაწითლებულმა ჩადუნელმა სასწრაფოდ წამოკრიფა ჩვენთვის სასურველი დოკუმენტები, უჯრისკენ გააქანა და გამოგვემშვიდობა. მას შემდეგ ბევრი ერთი საათი გავიდა, აღარც სოფლის გამგებელი იღებს ყურმილს, აღარც ჩადუნელი.

– როგორ ფიქრობთ, ვინ დაურეკა ჩადუნელს?

– ალბათ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ფიქრიშვილმა, რომელიც არჩევნების შემდეგ სოფელში აღარ გამოჩენილა. „დაამარცხა“ მამუკა არეშიძე და მორჭმით ზის ქუთაისის პარლამენტში.

მინდა, მივმართო პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ბატონ დავით ნარმანიას, იქნებ რაიონისა და სოფლის გამგებლებს დაევალოთ, სოფელშივე შეიქმნას მზრუნველთა საბჭო, რომ გამოყოფილი თანხა უკვალოდ არ გაქრეს, როგორც არაერთხელ გამქრალა. ამასთან ერთად, გამოყოფილი თანხა, პირველ რიგში, სასმელი წყლის მოწესრიგებას მოხმარდეს – გზა მოიცდის, სასმელი წყლის მოუწესრიგებლობა კი ადამიანების ჯანმრთელობას ანადგურებს.

არ არის გამორიცხული, დაჟანგებულ მილებზე ასფალტი დააგონ, მერე გადათხარონ და ჩვენ ისევ უწყლოდ და გზების გარეშე დავრჩეთ. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის გადასარჩენად დედაქალაქს მიმდებარე სოფლები ბურჯებად უნდა შემოაშენდეს.

მინდა, მივმართო რამდენიმე დღის წინ ხუდონჰესის პრობლემასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირში შეკრებილ საზოგადოებას, ჩემს მეგობარ მწერლებს, ბატონ ვაჟა გიგაშვილს, ბატონ ლაშა თაბუკაშვილს, რამაზ შენგელიას, ახალგაზრდა მწერლებს – არჩილ ქიქოძეს, რეზო თაბუკაშვილს, გაგა ნახუცრიშვილს, ბექა ქურხულს, ლადო კილასონიას, რატი ქართველიშვილს, ბაჩო კვირტიას, რაც მთავარია, საპარლამენტო არჩევნებში გარდაბნის რაიონში „დამარცხებულ“ დეპუტატობის კანდიდატ მამუკა არეშიძეს; მარტყოფის მკვიდრებს – რეჟისორებს, ქალბატონ ციცინო კობიაშვილსა და თემურ კილაძეს, მსახიობ ჯაბა კილაძეს, ერსა და ბერს, არ შევატოვოთ მარტყოფელების ბედი თავგასულ ჩინოვნიკებს.

შსს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში მავთულხლართების მონტაჟის ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში, ადგილობრივი მოსახლეობის მეტი დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ღონისძიებებს ყოველდღიურად ახორციელებს — რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოებული მავთულხლართების და ღობეების უკანონო მონტაჟის ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

განცხადებაში უწყება მავთულხლართების მონტაჟის პროცესს ქრონოლოგიურად აღწერს და აღნისნავს, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების მონტაჟის პროცესი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწყო., 2009-2012 წლებში კი – გორის, ქარელისა და კასპის რაიონების სოფლებში ეტაპობრივად გაგრძელდა. მავთულხლართების, ღობეებისა და მიწათხრილების მოწყობის პროცესმა, ოკუპირებულ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში ინტენსიური ხასიათი 2013 წელს შეიძინა და გორის, ქარელის, ახალგორისა და ზუგდიდის რაიონების სოფლებში სწრაფი ტემპით გაგრძელდა.

„რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ამ უკანონო ქმედებების დაწყების მომენტიდან, შსს სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სისტემატურად განიხილავს აღნიშნულ პრობლემას და მას უპირველეს საკითხად აყენებს, როგორც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ), ასევე ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვისას, ჟენევისა და იპრმ-ის ფორმატებში გამართულ შეხვედრებზე, ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებებისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, შსს კვლავაც აგრძელებს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას, რათა ადგილზე მოხდეს სტაბილურობის უზრუნველყოფა და თავიდან იქნეს აცილებული ვითარების ესკალაცია. შინაგან საქმეთა სამინისტრო, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ ინფორმირებას ახორციელებს ოკუპაციის ხაზთან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს პარტნიორ სახელმწიფოთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, რათა პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირება მოხდეს“ – ნათქვმია სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, სამინისტრო ოკუპირებული ტერიტორიებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მიმდინარე წელს უწყების მიერ განხორციელებულ ცალკეულ ღონისძიებათა ჩამონათვალზეც საუბრობს – სამინისტრო ჩართულია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (8 შეხვედრა) და ჟენევის მოლაპარაკებებში (3 რაუნდი); სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ყველა მაღალი დონის შეხვედრებზე, მათ შორის მინისტრის ყველა ოფიციალური ვიზიტისას, პარტნიორი სახელმწიფოების აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოებთან უპირველეს საკითხად დგება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, დეტალურად განიხილება შექმნილი მდგომარეობა და არსებული გამოწვევები; ოკუპაციის ხაზის მიმდებარე რიგ სოფლებში გაზრდილი იქნა მობილური პატრულების ჯგუფების რაოდენობა და დამატებულ იქნა დროებითი საგუშაგოები; დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შსს-ს თაოსნობით, მრავალჯერ იმყოფებოდნენ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარების ადგილზე გასაცნობად; სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან, და ყოველდღიური კომუნიკაციის და ე.წ. „ცხელი ხაზის“ მექანიზმის ფარგლებში, ეფექტურად მოქმედებს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაში; შსს აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების კუთხით.

ასევე, უწყება აქტიურად თანამშრომლობს გაეროს წარმომადგენლობასთან აფხაზეთის მიმართულებით მოლაპარაკებების განახლების უზრუნველყოფისა და ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის კუთხით; სამინისტროს მიერ შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მოსახლეობასთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ადგილზე უსაფრთხოებისა და ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვების მიზნით შეხვედრები შედგა; სამინისტროს უშუალო მონაწილეობით საოკუპაციო ზოლზე არაერთგზის აცილებულ იქნა ოკუპანტების მხრიდან დაგეგმილი სხვადასხვა სახის პროვოკაციები; მავთულხლართების, ღობეებისა და მიწათხრილების ინსტალაციის პროცესთან დაკავშირებით მოეწყო პრეზენტაციები, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე

დიპკორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებთან. ასევე აღნიშნული ინფორმაცია შსს-სთან ურთიერთობის მქონე უცხოელ კოლეგებს სისტემატურად მიეწოდება.

როგორც უწყება აღნიშნავს, სამინისტრო აქტიურადაა ჩართული ოკუპანტებისა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა გათავისუფლების პროცესში; ეფექტურად თანამშრომლობს ჰუმანიტარული პროფილის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რითაც ხელს უწყობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადაადგილებას, როგორც სამედიცინო თვალსაზრისით, ასევე სხვა ჰუმანიტარული მიზნებით. ასევე, ჩართულია უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესში და კოორდინირებას უწევს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიების განაღმვით სამუშაოებს.

სამინისტრო განმარტავს, რომ რომ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთ გარანტორს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს და იგი შესაბამის ღონისძიებებს ყოველდღიურად ახორციელებს.

ნიუსპრესი

ნიკა მაჩაიძე აქტუალური მუსიკის ფესტივალზე დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

4 ოქტომბრიდან თბილისში აქტუალური მუსიკის შვეიცარიულ-ქართული ფესტივალი მეოთხედ დაიწყება. როგორც პროექტის კურატორი სოფო კილასონია აცხადებს, ფესტივალი ციურიხის მუსიკალურ სცენაზე ჩაისახა პიანისტ თამრიკო კორძაიასა და კომპოზიტორ ფელიქს პროფოსის ენთუზიასტურ იდეად და რომლის ყოველი ეტაპი 2005 წლიდან მოყოლებული, მუდამ ახალ და საინტერესო ჭრილში დაანახებს ხოლმე მსმენელს ძველის და ახლის, ტრადიციის და ავანგარდის, სხვადასხვა, ხშირად დიამეტრულად საწინააღმდეგო ესთეტიკური პოზიციების იმ ერთობას, ჩვენი დროის „ყველანაირობაში“ და მასთან დაკავშირებული ანტაგონისტური გამიჯვნა — დახარისხების სიტუაციაში ხშირად სამტკიცებელიც რომ ხდება.

– ფესტივალის მთავარი ღირსებაც, დაარსებისთანავე, სწორედ ეს იყო: არანაირი სტილისტური მიკერძოება თუ უარყოფა, არც ჟანრული და არც ენობრივი. მუსიკის ერთიანობა განურჩევლად ეპოქისა, ენისა, ტექნოლოგიისა და ესთეტიკური მრწამსისა, მხატვრული თანაარსებობა და ურთიერთინტერესი, – აი კრედო, რომლითაც სულდგმულობს ეს ფესტივალი და რომელიც ყოველ ჯერზე ახლებურ გადაწყვეტას ჰპოვებს ხოლმე როგორც ავტორთა და შემსრულებელთა შერჩევის, ისე საფესტივალო პროგრამის დაგეგმვის მხრივ და ერთ მრავალფერ სპექტრად წარმოგვიდგენს ხოლმე მუსიკას, რომელსაც შეგნებულად ეწოდა „აქტუალური“, ნიშნად იმ თანამედროვეობისა და უბერებლობისა, ყოველი დროის ჭეშმარიტი მუსიკის მთავარ ატრიბუტად რომ გვევლინება, – აღნიშნავს წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუსიკოსი, თბილისის კონსერვატორიის რექტორი რევაზ კიკნაძე.

წლევანდელ საფესტივალო პროგრამაში აყოერდება კომპოზიტორების მიხეილ შუღლიაშვილის, ჰენრი პერსელის, პეტერ-კონრადინ ცუმთორის, ვერა კაპელერის, იეფიმ გოლიშეფის, იურგ ფრაის, ნატალი ბერიძის, ლუკას ლანგლოცის, ნიკა მაჩაიძის, ფელიქს პროფოსის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ნაწარმოებები. რაც შეეხებათ შემსრულებლებს, ფესტივალზე დაუკრავენ თამარ ჩიტაძე, ნუცა კასრაძე, მონდრიან ანსამბლი, ფილიპ მაიერი, თამრიკო კორძაია, ნატალი ბერიძე, ნიკა მაჩაიძე, ვერა კაპელერი, რეზო კიკნაძე, პეტერ კონრადინ ცუმთორი, კაპელერ-ცუმთორის დუეტი, დანიელა მიულერი, ეკაჩაი მასკულრატი და პეტრა აკერმანი.

წლევანდელ ფესტივალზე განსაკუთრებული მოვლენაა მიხეილ შუღლიაშვილის მიერ 1975 წელს დაწერილი „დიდი ქრომატიული ფანტაზიის (სიმფონია)“ პრემიერა. ამ ურთულესი ნაწარმოებით ავტორი ემიჯნებოდა სოციალისტური რეალიზმის სტილსა და მოთხოვნებს.

– აქტუალური მუსიკის ფესტივალის მონაწილეები მუსიკალური სამყაროს მრავალფეროვნებას ან წინააღმდეგობებს პროგრამით ასახავენ. ერთი მხრივ პროგრამაშია მოცარტის საფორეპიანო კვარტეტი და ამავდროულად თანამედროვე ქართველი და შვეიცარიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. კონცერტებზე დრო დაეთმობა მუსიკოსების იმპროვიზირებულ კომპოზიციებსაც, – ამბობს სოფო კილასონია.

ფესტივალში მონაწილეობს ცნობილი მონდრიანის ანსამბლიც, რომელიც ასრულებს როგორც კლასიკურ მუსიკას, ისე თანამედროვეს. ამ შვეიცარიული ანსამბლისთვის არაერთი ცნობილი კომპოზიტორი სპეციალურად წერს მუსიკას. 24 ოქტომბრიდან ფესტივალი ციურიხში გაგრძელდება, მაგრამ ვიდრე ეს მოხდება კონსერვატორიის მცირე დარბაზში დაგეგმილი კონცერტების გარდა, მუსიკოსებს ელით მცირე ტურნე საქართველოში. კონცერტები გორში, სიღნაღში, თელავში და ბორჯომში. ამას გარდა, თბილისში ჩაატარებენ რამდენიმე მასტერკლასს ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის.

აქტუალური მუსიკის ფესტივალი პროგრამა ასეთია: 4 ოქტომბერი – თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზი მიხეილ შუღლიაშვილი „დიდი ქრომატიული ფანტაზია (სიმფონია)“ (1975 წელი) პრემიერა, თამარ ჩიტაძე (ფორტეპიანო), ნუცა კასრაძე (ფორტეპიანო), თამრიკო კორძაია (ფორტეპიანო); ჰენრი პერსელის ფანტაზია I სიმებიანი ტრიოსთვის, ფანტაზია II სიმებიანი ტრიოსთვის, ფანტაზია III სიმებიანი ტრიოსთვის, ნაწარმოებებს შორის იმპროვიზაციები, პეტერ-კონრადინ ცუმთორი (პერკუსია), ვერა კაპელერი (ფორტეპიანო/სათამაშო ფორტეპიანო/ჰარმონიუმი), დანიელა მიულერი (ვიოლინო), ეკაჩაი მასკულრატი (ჩელო), პეტრა აკერმანი (ალტი), რეზო კიკნაძე, (საქოფონი/ელექტრონიკა);

– მიხეილ შუღლიაშვილი თავისი ღრმა პროფესიონალიზმის გამო აღტაცების ღირსი კოლეგებს შორის, მუსიკისადმი თავისი კონსტრუქტივისტული დამოკიდებულების ზოგთაგან „ქართველ ქსენაკისად“ აღქმული, მოწაფეთაგან პირდაპირ გაღმერთებული თავისი გადამდები შთაგონების ძალით, მაინც ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებაღიარებულ ქართველ კომპოზიტორად ითვლება. საბჭოთა დროის პოლიტიკური კონიუნქტურის უარმყოფელს, მისგან მკვეთრად და გადაჭრით გამიჯნულს, სიცოცხლის მანძილზე საზოგადოებაში იცნობდნენ უფრო როგორც ფანტასტიურ პედაგოგს, ცნობილს უნიკლაური მეთოდით, რომელიც ნებისმიერი ასაკის მოწაფეს – პირველკლასელს, სტუდენტს თუ უკვე „ჩამოყალიბებულ“ კომპოზიტორს, ახლებურად აზიარებდა ხოლმე მუსიკის მთელ ესთეტიკურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ასპექტებს და ამით თითოეულ მათგანს მუსიკოსობის იმ მთავარ და დიდხანს ჩაუმქრალ იმპულსს მისცემდა ხოლმე, რომელიც ბევრისთვის გადამწყვეტი აღმოჩენილა. მისი შემოქმედება მოიცავს როგორც სოლო ფორტეპიანოს, ისე კამერულ და დიდ ორკესტრის შემადგენლობებს და ბოლო წლების განმავლობაში ნელ-ნელა კვლავ შემოდის საშემსრულებლო თვალსაწიერში, მისი ზოგიერთი ქმნილება კი სულაც პირველად გამოდის ხოლმე მსმენელის სამსჯავროზე, როგორც ამჯერად ეს ნაწარმოები, „დიდ ქრომატიულ ფანტაზიად“ წოდებული, რომელსაც შემთხვევით არ აქვს ფრჩხილებში ქვესათაურად დართული „სიმფონია“, თუმცა ბერძნულიდან მომდინარე „მუსიკალური“ ტერმინები, სავარაუდოდ, მაინც უფრო მათი საწყისი მნიშვნელობის ორაზროვან სემანტიკურ დატვირთვასთანაა ასოცირებული, ამ და მრავალის სხვა ასოციაციისთვის უშრეტ წყაროდ გვევლინება ეს სამოცწუთიანი ნაწარმოები, – ამბობს სოფო კილასონია.

5 ოქტომბერი – თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზი კაპელერ-ცუმთორის დუეტი „კარი I“, „კარი II“, „კარი III“, „კარი VI“, „ზმანებული სახე“, „პირველი მხეცი“, „ნე პიდუ ია დო ლესა“, ვერა კაპელერი (ფორტეპიანო), პეტერ კონრადინ ცუმთორი (პერკუსია); იეფიმ გოლიშეფი „ცვიოლფტონდაუერმიუზიქ“ სიმებიანი ტრიოსთვის, იურგ ფრაი „არხიტეკტურ დერ ემპფინდუნგენ“ ფორტეპიანოსა და სიმებისთვის, ლუკას ლანგლოცი „ტოვერ“ ალტისა და ფორტეპიანოსთვის; მონდრიან ანსამბლი

ფილიპ მაიერი (ფორტეპიანო).

– კაპელერ-ცუმთორის დუეტის სალაღობოდ მეოცნებე კომპოზიციებს ამ საღამოს ენაცვლება კონტრასტული პროგრამა, რომელშიც ორი შვეიცარიული ნაწარმოები რუსული ავანგარდის ორ ნიმუშს შორისაა მოქცეული. ორი კონტრასტული სამყაროა ეჯახება ერთმანეთს: ერთი მხრივ, იურგ ფრაის გაჩერებული ხმოვანება და ლუკას ლანგჰოლცის ფანტასტიური ხუთნაწილიანი კომპოზიცია, „ჯადოს“ აღმნიშვნელი შუაქვემოგერმანული სიტყვა „ტოვერ“ რომ აქვს სათაურად, და, მეორე მხრივ, გოლიშეფისა უხეში თორმეტტონიანი კომპლექსები, – განმარტავს ფესტივალის კურატორი.

6 ოქტომბერი – თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზი „სონგს ენდ...“ ვერა კაპელერი/პეტერ კონრადინ ცუმთორი „ბონტემპი“, „ლომის ბუნაგი“, „არცოდნა“, ფელიქს პროფოსი „ზი კომპოზერს ბადი“, ნაწარმოებებს შორის – იმპროვიზაციები, ვერა კაპელერი (ფორტეპიანო), ნატალი ბერიძე (ელექტრონიკა/ვოკალი), პეტერ კონრადინ ცუმთორი (პერკუსია), ნიკა მაჩაიძე (ელექტრონიკა); ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი საფორტეპიანო კვრტეტი მი ბემოლ მაჟორი, მონდრიან ანსამბლი.

– ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ეს საფორტეპიანო კვრტეტი დღესაც აღტაცებას გვგვრის უსაზღვრო, პირდაპირ მფლანგველურად ულევი, ვოვატორული და დახვეწილი მრავალფეროვნებით, როგორც თემატურად, ისე გამომსახველობით. ასევე მრავალშროვანი ურთიერთობები მყარდება პროგრამის პირველ ნაწილშიც, რომელშიც ნატალი ბერიძე და ნიკა მაჩაიძე პირველად იკვრება ბენდად ვერა კაპელერთან და პეტერ კონრადინ ზუმთორთან ერთად, – ამბობს სოფო კილასონია.

7 ოქტომბრიდან ფესტივალი უკვე საქართველოს რეგიონებში გადაინაცვლებს, 7 ოქტომბერს კონცერტი სიღნაღის თეატრში გაიმართება, 8 ოქტომბერს – თელავის მუსიკალურ სასწავლებელში, 9 ოქტომბერს – გორის მუსიკალურ სასწავლებელში, 9 ოქტომბერს – ბორჯომის კულტურის ცენტრში. აქტუალური მუსიკის ფესტივალი 24 ოქტომბერს ციურიხში რადიოს სტუდიაში დასრულდება.

განცხადება

მოქალაქე საყირ აბას ქარიმ შაფი ალ-ნასაირავმა მიმდინარე წლის 25 სექტემბერს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინა მიმდებარე ტერიტორიაზე გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა თავის სახელზე და გვარზე გაცემული ერაყის რესპუბლიკის პასპორტი. მპოვნელს ვთხოვთ, ერაყის საელჩოს დაუკავშირდეს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

სპორტსაზოგადოება შევარდენი 95 წლის გახდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული სპორტის მუზეუმის თაოსნობით სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ 95 წლის იუბილე აღინიშნა.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას სამინისტროში განთავსებულმა ქართული სპორტის მუზეუმმა უმასპინძლა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ივან იესტრჟაბი, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

საღამო ქართული სპორტის მუზეუმის მცველმა – ლილი ლომსაძემ გახსნა, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმს ათეული წლებია ემსახურება.

სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ – ეს ჩვენი სპორტის ერთ-ერთი მშვენიერი ლეგენდაა, რომლის ფესვებს მე-19 საუკუნის მიწურულამდე მივყავართ, როცა ქართველი და ჩეხი სპორტსმენების საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. თბილისში პირველად ტანვარჯიშის მასწავლებელი იულიუს გრუმლიკი გამოჩნდა, რომელიც ქალაქის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიწვიეს. ეს 1889 წელს მოხდა. 1892 წელს იმავე გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა სპორტული ტანვარჯიშისა და ფარიკაობის მასწავლებელმა ბ.პეტრუჩკმა, რომელიც საქართველოს დედაქალაქს პრაღიდან ესტუმრა. მან საქართველოში 1896 წლამდე დაჰყო.

1896 წელს საქართველოს ანტონ ლუკეში ეწვია, ვინც შემდგომი წლების მანძილზე ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული სპორტის მოყვარულებს. მისი ინიციატივით 1906 წელს თბილისში საფეხბურთო კლუბი „კომეტა“ დაარსდა, 1909 წელს კი, ასევე ანტონ ლუკეშის თაოსნობით, „შევარდენის“ წინამორბედი სპორტული საზოგადოება „სოკოლი“ ჩამოყალიბდა. მისი წევრების დევიზი იყო: „ფიქრში სამშობლო, გულში სიმარდე და მკლავში – ძალა“.

1912 წელს, პრაღაში, ქართველმა სპორტსმენებმა გიორგი ეგნატაშვილმა, ირაკლი ლორთქიფანიძემ, გიორგი და თამარ ნიკოლაძეებმა, არჩილ ბაქრაძემ, გაიოზ ბერელაშვილმა, ივანე ბერიძემ და სხვებმა დაბალ თანრიგში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“ 1918 წლის 25 აგვისტოს გიორგი ეგნატაშვილის, გიორგი და თამარ ნიკოლაძეების, არჩილ ბაქრაძის, დავით ჯავრიშვილის, გაიოზ ბერელაშვილის, ირაკლის ლორთქიფანიძის, ივანე ბერიძის და სხვათა ინიციატივით დაარსდა.

„შევარდენის“ წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აწყობდნენ გამოსვლა-შეჯიბრებებს. ორგანიზაცია ახალგაზრდობაში პატრიოტულ-რაინდულ სულს აღვივებდა. საგულისხმოა, რომ სპორტსმენები მუსიკის თანხლებით ვარჯიშობდნენ, რომლის ავტორი 18 წლის ტანმოვარჯიშე ევგენი მიქელაძე გახლდათ, შემდგომში სახელგანთქმული დირიჟორი.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თაოსნობით არაერთი სახელმძღვანელო გამოიცა, მათ შორის ჩეხი მიროსლავ ტირშის ნაშრომის გიორგი ნიკოლაძისეული თარგმანი. თავად მიროსლავ ტირში ჩეხეთში „შევარდენის“ მსგავსი სპორტული კავშირის, „სოკოლის“ დამაარსებელი გახლდათ (1862 წელი). ხაზგასასმელია სოსო ასლანიშვილის წიგნი „პროფესორი ტირში და მისი მნიშვნელობა შევარდნობის ისტორიაში“, რომლის წინასიტყვაობაში ნათქვამი იყო:

– ჩვენს უმთავრეს და უპირველეს მიზანს შეადგენს ერის სიმხნევეზე ზრუნვა, მისი აღორძინება და ზნეობრივი გაჯანსაღება.

„ძალა ლომისა, აღმაფრენა შევარდენისა“ – ეს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ დევიზი იყო. მისი წევრები ერთმანეთს ესალმებოდნენ შემდეგი სიტყვებით: „გუშაგობ ერს“! პასუხად კი ისმოდა: „მარად“! ეს ტერმინები გიორგი ნიკოლაძის დედას, ოლღა გურამიშვილს ეკუთვნის, რომელიც აქტიურად იყო ჩართული „შევარდენის“ საქმიანობაში. საზოგადოებას ემბლემად ჰქონდა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც დამუშავებული გახლდათ ცნობილი ქართველი ფერმწერის დიმიტრი შევარდნაძის მიერ. „შევარდენის“ წევრები საზოგადოების სამკერდე ნიშნებით იწონებდნენ თავს. 1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მაშინდელ ვაკის სტადიონზე (დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორია) მოეწყო „შევარდენის“ წევრთა საჩვენებელი გამოსვლა-სპორტული აღლუმი. იგივე მოხდა 1920-1921 წლებშიც.

სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ და პირადად გიორგი ნიკოლაძეს დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სპორტული ტერმინოლოგიის განვითარებაში. მაგალითად, ნიკოლაძისეული „ტანვარჯიში“, „ფეხბურთი“, „თამაშგარე“, „მძლეოსნობა“, „არეკნი“ და სხვა არაერთი სიტყვა საფუძვლად დაედო ქართულ სპორტულ ლექსიკას. 1922 წელს გამოიცა ჟურნალ „შევარდენის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმშია დაცული. 1922 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ „შევარდენი“ გააუქმა და მის ბაზაზე ჯერ პოლიტიკურ-სპორტული საზოგადოება „ვსეობუჩი“ დააარსა, მისი დაშლის შემდეგ „სპარტაკი“, რომელმაც ორიოდ წელიწადში წინამორბედის ბედი „გაიზიარა“. 1923 წლის 19 მარტს, ამიერკავკასიის მე-2 ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძემ „შევარდენი“ მენშევიკურ ორგანიზაციად მოიხსენია...

1965 წელს, როცა ქართული სპორტის მუზეუმი დაარსდა, პროფესორმა მიხეილ გიორგაძემ საზოგადოება „შევარდენის“ მასალების გამოფენა მოაწყო. გიორგი ეგნატაშვილის ვაჟმა, ირაკლი ეგნატაშვილმა ამ საქმის ინიციატორებს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. გამოფენას ასაკოვანი შევარდნელებიც დაესწრნენ: მიხეილ გორგაძე, გიორგი მერკვილაძე, გიგა ბერიძე, ტარას კუბლაშვილი, ნინო შინშიაშვილი.

ქართული სპორტის მუზეუმი „შევარდენის“ 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე დამთვალიერებელს თითქმის საუკუნისწინანდელ საფოსტო ბარათებს, უნიკალურ ფოტომასალას, საზოგადოების ჯგუფების ჟურნალებს, სანოტო რვეულებს, სამკერდე ნიშნებს და ჟურნალ „შევარდენის“ პირველ და უკანასკნელ გამოცემას სთავაზობს.

ფეიდეგები

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონთა ლიგა

ცსკა-პლზენი	3:2
სიტი-ბაიერნი	1:3
იუვენტუსი-გალათასარაი	2:2
რეალი-კოპენჰაგენი	4:0
პსჟ-ბენფიკა	3:0
ლევერკუზენი-სოსიედადი	2:1
შახტარი-მანჩესტერი	1:1
ანდერლეხტი-ოლიმპიაკოსი	0:3

ჰოკეი

ნჰლ

ფილადელფია-ტორონტო	1:3
დეტროიტი-ბუფალო	2:1
კოლორადო-ანაჰაიმი	6:1

ბაიერნი ტრიუმფს აგრძელებს

ა ჯგუფი

შახტარი – მანჩესტერი 1:1

0:1 ფელაინი (18), 1:1 ტაისონი (76)

შახტარი: პიატოვი, სრნა, კუჩერი, რაკიცკი, შევჩუკი, ფერნანდო (ილსინიო 84), ჰუბშმანი, ტაისონი (ბერნარდი 90), ალექს ტეიშეირა, დუგლას კოსტა, ადრიანო (ფერეირა 90)

მანჩესტერი: დე ხეა, რაფაელი, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, კერიკი, ფელაინი (გიგზი 67), კლევერლი, უელბეკი (ჯონსი 90), ვან პერსი

პირველ ტურში მოგებული გუნდები ამჯერად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და შესაძლებელი იყო, რომელიმე მათგანი ერთპიროვნული ლიდერიც გამხდარიყო. თუმცა, ასეა არ მოხდა და ცხრილში ორხელისუფლებიანობა დარჩა.

ერთია, გასულ სეზონში ეს ფრე „მანჩესტერს“ პასივში ჩაეთვლებოდა, მაგრამ დვიდ მოიესის გუნდი ქვეყნის ჩემპიონატში ჩვეულად ვერ ბრწყინავს და ამის ფონზე დონეცკში ქულის მოპოვება ურიგო შედეგი ნამდვილად არაა.

არადა, „წითელი ეშმაკები“ იგებდნენ, თუმცა სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და ტაისონიდან გოლი მიირეს.

ჰო, „წითელი ეშმაკების“ ლეგენდა რაიან გიგზი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც, ჩემპიონთა ლიგაზე, 50 სხვადასხვა გუნდი წინააღმდეგ ითამაშა.

ლევერკუზენი – სოსიედადი 2:1

1:0 როლფესი (45), 1:1 ველა (52), 2:1 ჰეგელერი (90)

52-ე წუთზე, ველამ ვერ გამოიყენა პენალტი

ლევერკუზენი: ლენო, ჰილბერტი, ვოლფაიდი, თორფაქი, ბოენი (ჩანი 69), ბენდერი, რაინარტცი, როლფესი, სამი (ჰეგელერი 85), კისლინგი, სონი (კრუზე 68)

სოსიედადი: ბრავო, მარტინესი, გონსალესი, მარტინესი, დე ლა ბელა, გორკა, ბერგარა, ზურუტუზა (როზი 90), ველა, სეფეროვიჩი (აგირეჩე 68), გრიზმანი (კასტრო 68)

სოსიედადი ბოლო წუთებმა დაღუპა – ჯერ პირველი ტაიმის ბოლოს გაუშვეს, შემდეგ გათანაბრებაც მოახერხეს, მაგრამ მატჩის მიწურულს ისევ შეცდნენ და „ლევერკუზენს“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაუტოვეს.

სატუნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	2	1	1	0	5:3	4
2.შახტარი	2	1	1	0	3:1	4
3.ლევერკუზენი	2	1	0	1	4:5	3
4.სოსიედადი	2	0	0	2	1:4	0

ბ ჯგუფი

იუვენტუსი – გალათასარაი 2:2

0:1 დროგბა (36), 1:1 ვიდალი (78პ), 2:1 კვალიარელა (87), 2:2 ბულუთი (88)

იუვენტუსი: ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი (ლიორენტე 68), კიელინი, პირლო, ლიხტშტაინერი (ისლა 46), ვიდალი, პოგბა, ასამოა, ტევესი, ვუჩინიჩი (კვალიარელა 26)

გალათასარაი: მუსლერა, ებუე, კაია (ზანი 25), შეჯუ, რიერა (ამრაბათი 60), მელო, ინანი, ბალთა, სნეიდერი (ბულუთი 74), ბრუმა, დროგბა

გაოცებას იწვევს ტურინელთა თამაში. მართალია, „იუვენტუსი“ არ აგებს, მაგრამ მოგებასაც ვერ ახერხებს. არადა, რთული მეტოქეები არ ჰყავდა – სტუმრად „კოპენჰაგენი“ და შინ „გალათასარაი, მაგრამ ორივე მათგანთან ფრეს გამორჩა.

„გალამ“ ანგარიში ბონუჩის უხეში შეცდომის შემდეგ გახსნა, რომელიც ვიდალმა პენალტით გაქვითა. პენალტი კვალიარელამ მოიპოვა, რომელმაც შემდეგ თავისიანები სულაც დაანინაურა, მაგრამ „იუვემ“ უპირატესობა წუთიც ვერ შეინარჩუნა.

ხეალი – ჯოპენჰაგენი 4:0

1:0, 2:0 რონალდუ (21,66), 3:0, 4:0 დი მარია (71,90)

რეალი: კასილიასი, კარვახალი, პეპე, ვარანი, მარსელო, დი მარია, მოდრიჩი (ისკო 67), ხედირა (მორატა 74), ილიარამენდი, ბენზემა (ხესე 81), რონალდუ

კოპენჰაგენი: ვილანდი, იაკობსენი, მელბერგი, სიგურდსონი, ბენგტსონი, გისლასონი, დელენი, კლაუდემირი, ტუტუ (ბოლანოსი 63), ბრაატენი (ადი 67), იორგენსენი (კრისტენსენი 73)

იმ გუნდებს, ვისაც „იუვენტუსი“ ვერ უგებს, „რეალი“ მუსრს ავლებს. სტუმრად „გალათასარაის“ განადგურების შემდეგ მადრიდელთა მსხვერპლი ამჯერად „კოპენჰაგენი“ აღმოჩნდა. დუბლები კრიშტიანუ რონალდუმ და ანხელ დი მარიამ გაიფორმეს.

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	2	2	0	0	10:1	6
2.იუვენტუსი	2	0	2	0	3:3	2
3.კოპენჰაგენი	2	0	1	1	1:5	1
4.გალათასარაი	2	0	1	1	3:8	1

გ ჯგუფი

პსჟ – ბენფიკა 3:0 (3:0)

1:0 იბრაჰიმოვიჩი (5), 2:0 მარკინიოსი (25), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (30)

პსჟ: სირიგუ, ვან დერ ვილი, ალექსი (კამარა 78), მარკინიოსი, მაქსველი, მოტა, ვერატი (რაბიო 70), მატუიდი, კავანი, იბრაჰიმოვიჩი, ლავესი (ლუკასი 70)

ბენფიკა: მორაეში, ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა, ფეიშა (გომესი 29), მატიჩი, პერესი, დურიჩიჩი (მარკოვიჩი 46), გაიტანი (სულეიმანი 66), კარდოსო

მე-2 ტურშიც იოლიად იმარჯვა პსჟ-მ, რომელმაც სტუმარ „ბენფიკას“ 3 უპასუხო ბურთი გაუტანა. პორტუგალიელებთან მატჩში თავი დუბლით გამოიჩინა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ხოლო ახალგაზრდა ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა, მარკინიოსმა, ჩემპიონთა ლიგის მე-2 თამაშში მე-2 გოლი გაიტანა.

ანდერლეხტი – ოლიმპიაკოსი 0:3

0:1, 0:2, 0:3 მიტროღლუ (17,56,72)

24-ე წუთზე, მიტროვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი

ანდერლეხტი: პროტო, ჟილე, კუიატე, ნუიტნიკი, ნსაკალა, ტიელემანსი, კლიესტანი, ბრუნო, პრაეტი (ეშემპონი 74), სუარესი, მიტროვიჩი

ოლიმპიაკოსი: ხიმენესი, მანიატისი, მანოლასი, სიოვასი, ბონგი, ნდინგა, სამარისი, ოლაიტანი (ფუსტერი 57), საგიოლა (დომინგესი 67, ჰოლებასი 78), ვაისი, მიტროღლუ

ანდერლეხტი უტევდა, მაგრამ გოლები მაინც მასპინძელთა კარში გადიოდა. სამივე შემთხვევაში თავი ბერძენთა მე-11 ნომერმა, მიტროღლუმ გამოიჩინა, რომელიც რონალდუსა და მესის შემდეგ, მე-3 ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მიმდინარე გათამაშებაში ჰეთ თრიქი გაიფორმა, ხოლო პირველი ბერძენი ფეხბურთელი, რომელმაც ამ პრესტიჟულ ტურნირზე ერთ მატჩში 3 გოლის გატანა მოახერხა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ანდერლეხტმა“ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პენალტის დარტყმის უფლება მეოთხედ მოიპოვა და ბელგიელებმა სტანდარტის გოლად ქცევა ვერც ამჯერად მოახერხეს.

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	2	2	0	0	7:1	6
2.ოლიმპიაკოსი	2	1	0	1	4:4	3
3.ბენფიკა	2	1	0	1	2:3	3
4.ანდერლეხტი	2	0	0	2	0:5	0

დ ჯგუფი

სიტი – ბაიერნი 1:3

0:1 რიბერი (7), 0:2 მიულერი (56), 0:3 როზენი (59), 1:3 ნეგრედო (79)

სიტი: ჰარტი, რიჩარდსი, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში, ტურე, ფერნანდინიო, ნავასი, აგუერო (სილვა 70), ნასრი (მილნერი 70), ჯეკო (ნეგრედო 57)

ბაიერნი: ნოიერი, რაფინია, ბოატენგი, დანტე, ალაბა, ლამი, რობენი (შაქირი 78), შვაინშტაიგერი (კირხოფი 76), კროოსი, რიბერი (გოტცე 82), მიულერი

გაძევება: ბოატენგი (86)

ტურის ცენტრალური შეხვედრა კი სწორედ ამ ჯგუფში გაიმართა: „ეტიჰად სთედიუმზე“ „მანჩესტერ სიტი“ მიუნხენის „ბაიერნს“ დაუხვდა, თუმცა ისტლენდელებს ნამდვილი კოშმარი დაატყდათ თავს.

ყველაფერი რიბერის სწრაფი გოლიდან დაიწყო: ფრანგმა ვარსკვლავმა ძალიან შორიდა გაისროლა და ჯო ჰარტის შეცდომა აშკარაა, რომელმაც რეაქცია დააგვიანა.

მეორე ტაიმში მიულერმა და რობენმა საბოლოოდ დაუსვეს შეხვედრას წერტილი, თუმცა ნეგრედოს პრესტიჟის გოლისა და ბოატენგის გაძევების შემდეგ, თითქოს, რაღაც იმედი გაჩნდა თამაშის გადარჩენის – თანაც, სილვამ ჯარიმიდან ხარიხას გაარტყა, თუმცა გამარჯვება მაინც სტუმრებს დარჩათ.

ისე კი, გოლამდე ერთი მშვენიერი მომენტი ჯეიმს მილნერსაც ჰქონდა, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან გაისროლა, თუმცა ნოიერმა მოიგერია.

ცსკა – პლზენი 3:2

0:1 რაიტორალი (4), 1:1 ტოშიჩი (19), 2:1 ჰონდა (29), 3:1 რეზნიკი (78სკ), 3:2 ბაკოში (90)

ცსკა: აკინფეევი, ნაბაბკინი, ა.ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შჩენიკოვი, ელმი (მილანოვი 73), ვერნბლუმი, ტოშიჩი, ჰონდა, ზუბარი (გონსალესი 64), მუსა (ვიტინიო 89)

პლზენი: კოზაჩიკი, რაიტორალი, ჰუბნიკი, რპოჩაზკა, რეზნიკი (პოსპისილი 84), ჰორვატი, ჰორავა (დურიში 76), პეტრზელა, კოლარი, კოვარიკი (ტეცლი 70), ბაკოში

ამ გუნდებს შორის ბრძოლა სავარაუდოდ, ევროპის ლიგაზე გადართვის გაიმართება და აქედან გამომდინარე, ცსკამ მნიშვნელოვანი 3 ქულა აიღო. არადა, დასაწყისშივე აგებდა, მაგრამ მატჩის სათავისოდ შეტრიალება მაინც მოახერხა.

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	2	2	0	0	6:1	6
2.სიტი	2	1	0	1	4:3	3
3.ცსკა	2	1	0	1	3:5	3
4.პლზენი	2	0	0	2	2:6	0

17-წლამდელებმა მზადება დაიწყეს

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები (1997 წელს დაბადებულები) ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას იწყებს.

გუნდის მთავარი მწვრთნელის, ნოდარ აკობიას გადაწყვეტილებით, ნაკრები შესარჩევისწინა დასკვნით შეკრებას ზუგდიდში, „ბაიას“ საწვრთნელ ბაზაზე გაივლის. შეკრებაზე შემდეგი ფეხბურთელები არიან გამოძახებული:

მეკარეები: ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე საბურთალო), სანდრო ბენდიანიშვილი (ლოკომოტივი);

მცველები: რატი კაკიაშვილი, გიორგი აბელაშვილი, ცოტნე ნადარაია, დემურ ჩომახიძე (ყველა საბურთალო), ვასილ კაციტაძე (დინამო თბ), ირაკლი კომახიძე (შუქურა), თორნიკე გაფრინდაშვილი, გიორგი ქობულაძე (35-ე სკოლა), ამირან გოგიაშვილი (დილა), ნიკა კევლიშვილი (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: ანდრო ნემსაძე (დინამო თბ), ირაკლი ბიძინაშვილი, ვლადიმერ მამუჩიშვილი (ორივე საბურთალო), ნიკა ლაშხია (ზესტაფონი), ირაკლი კომახიძე, შერმადინ ართმელაძე (ორივე შუქურა), გიორგი ბერიძე (დილა), გიორგი კიკნაძე, ირაკლი კამლაძე (ორივე ლოკომოტივი), ნიკა ქორიძე (რეჯანა, იტალია);

თავდამსხმელები: გიორგი ჯობავა (ოსერი, საფრანგეთი), ბექა მიქელთაძე (ზესტაფონი), გიორგი წივილაშვილი (საბურთალო), საბა ცინცქილაძე (შუქურა).

შეკრების ფარგლებში, 17-წლამდელები ტესტ-მატჩს ითამაშებენ „ზესტაფონის“ დუბლებთან. გუნდი თბილისში 15 ოქტომბერს დაბრუნდება. 17 ოქტომბრიდან კი, უკვე შესარჩევის მატჩები იწყება.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევ ტურნირს საქართველო მასპინძლობს. 17-წლამდელები მე-11 ჯგუფში იასპარეზებენ და მეტოქეებად ფარერების, ჰოლანდიისა და სან მარინოს 17-წლამდე ნაკრებები ეყოლებათ. ტურნირის კალენდარი ასეთია:

17 ოქტომბერი: ჰოლანდია-ფარერები (დინამო არენა. 14:00); საქართველო-სან მარინო (მიხეილ მესხი. 16:00);

19 ოქტომბერი: სან მარინო-ჰოლანდია (გორი. თენგიზ ბურჯანაძე. 14:00); საქართველო-ფარერები (მიხეილ მესხი. 16:00);

22 ოქტომბერი: ფარერები-სან მარინო (გორი. თენგიზ ბურჯანაძე. 14:00); ჰოლანდია-საქართველო (მიხეილ მესხი. 16:00);

შესარჩევი ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რას ფიქრობენ პრეზიდენტობის კანდიდატები სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე

„რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?“ — ეს კითხვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს ვებგვერდმა პრეზიდენტი.გე-მ დაუსვა, რომელსაც ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის ახორციელებს და კანდიდატების პროგრამების შესახებ ამომრჩეველთათვის ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს.

სექსუალური უმცირესობების საკითხზე დასმულ კითხვას პრეზიდენტობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილი ასე პასუხობს:

„დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია ნებისმიერი ადამიანის უფლების დაცვა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი უმცირესობათა უფლებებს. თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს უმრავლესობის მმართველობას და, ამავე დროს, უმცირესობის უფლებათა დაცვას. დიდი ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო, რომ უმრავლესობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ ზღუდავდეს უმცირესობის უფლებებს. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ ნიშნით ადამიანთა დევნა, შევიწროება და დისკრიმინაცია. ამასთანავე, იგი უნდა ქმნიდეს და იცავდეს ადამიანთა სრულფასოვანი, შემოქმედებითი თვითრეალიზაციის პირობებს“, – აცხადებს მარგველაშვილი.

„ლეიბორისტების“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის თქმით კი, სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოში ყოველთვის უპრობლემოდ მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: „ თუმცა არ მიმაჩნია სწორად სექსუალური ორიენტაციის ქუჩაში დემონსტრირება, ისევე როგორც წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ძალადობის“, – ამბობს იგი.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის“ ადამიანები საქართველოში კონსტიტუციით გარანტირებული ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ და ისეთივე მოვალეობები უნდა გააჩნდეთ, როგორც „ტრადიციული ორიენტაციის მოქალაქეებს“.

„საქართველოში ეს ყოველთვის ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება. საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებების დამცველი და გარანტი“, – ასეთია ბურჯანაძის პოზიცია.

გიორგი თარგამაძის განცხადებით, პირადი ცხოვრება ხელშეუვალია, შესაბამისად, შეუძლებელია სახელმწიფო ერეოდეს კონკრეტული ადამიანების

სექსუალური ორიენტაციის დადგენასა და მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაში:

„თუმცა, თუ თანასწორუფლებიანობაში იგულისხმება ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორიცაა ქორწინება და შედეგად ერთსქესიანთა წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანა, ბენებრივია, ეს სრულიად მიუღებელია. პირიქით, შეთავაზებულია საკონსტიტუციო შესწორების პროექტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო აღიარებს და იცავს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას. კონსტიტუციის დღევანდელ რედაქციაში ქორწინების მხარეები არ არის განსაზღვრული და საუბარი მხოლოდ მათ უფლებრივ თანასწორობას ეხება. შესაბამისად, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სამოქალაქო კოდექსი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ნებისმიერ პირს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში აქვს გამარჯვების მაღალი შანსი. ასე რომ, საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება შეიძლება დაკანონდეს არა რომელიმე საკანონმდებლო აქტის მიღებით, არამედ არსებული ნორმის ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებით. შემოთავაზებული რედაქცია კი იმეორებს იმ საკონსტიტუციო ნორმის რედაქციას, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების– ლიტვის, ლატვიისა და უნგრეთის კონსტიტუციებშია დაფიქსირებული“, – აცხადებს თარგამაძე.პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი ზურაბ ხარატიშვილი კი აცხადებს, რომ საქართველო არის ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი და შესაბამისი წესებით ცხოვრობს.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სიცოცხლის ხელშეუხებლობა, საკუთრების უფლება, ოჯახის ინსტიტუტი, პიროვნული და ეროვნული ღირსება. მიგვაჩნია, რომ ყველა ადამიანი თავს საზოგადოების ღირსეულ წევრად უნდა გრძნობდეს და ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულობა მათზე ძალადობის ან უფლებრივი შეზღუდვის საფუძველი არ უნდა იყოს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერავის შევზღუდავთ ეთნიკური კუთვნილების მიხედვით და ვერც „არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას“ გამოვაცხადებთ სისხლის სამართლის დანაშაულად. ეს ყველაფერი ადამიანის პირად ცხოვრებას განეკუთვნება და სახელმწიფოსა და პოლიტიკის საქმე არ არის. სახელმწიფოს საქმეა, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის განმტკიცება, მეორე მხრივ, დააფინანსოს და ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის სწავლებას. აგრეთვე, ერთი მხრივ, ყოველმხრივ განამტკიცოს ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი და, მეორე მხრივ, არ დაუშვას ძალადობა „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის“ ადამიანების მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ დავუჭერთ მხარს ერთსქესიან ქორწინებას. ვინაიდან ეს წინააღმდეგობაშია ქორწინების ტრადიციულ გაგებასთან. რატომ უნდა შევცვალოთ ქორწინების ცნების შინაარსი? ჩვენ ვიცით, რომ ქორწინება გულისხმობს ქალის და მამაკაცის კავშირს. ერთსქესიანი ქორწინების დროს ეს ნიშნავს ორი ნებისმიერი ადამიანის კავშირს. ასეთ შემთხვევაში, მე მაქვს შეკითხვა – რატომ მხოლოდ ორი? მგონი გასაგებია, რომ აბსურდამდე მივდივართ“, – ასეთია პრეზიდენტობის მსურველი ხარატიშვილის მოსაზრება.

მიხეილ-გელა სალუაშვილი, რომელიც პარტია „სამართლიანობის აღდგენის კავშირი, ხმა ერისა – უფალია ჩვენი სიმართლეს“ წარმოადგენს, ამბობს:

„საქართველოს ყოველი მოქალაქე, მიუხედავად მისი აფიშირებული თუ დაფარული სექსუალური ორიენტაციისა, თანაბარი უფლებებით უნდა

სარგებლობდეს. ქრისტიანული ზნეობრივ-მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა ვებრძოლოთ ნებისმიერი ფორმით გამოხატულ ცოდვას, და არა ამ ცოდვის ჩამდენ პირს“.

ნეტგაზეთი

საავტორო უფლებათა ასოციაციაში იურიდიული კლინიკა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში იურიდიული კლინიკა გაიხსნა. ამის დასტურად საავტორო უფლებათა ასოციაციასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე იურიდიული ფაკულტეტის 2013 წლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საავტორო სამართალში პრაქტიკული სასწავლო კურსი (კლინიკა) ჩამოყალიბდება. კლინიკაში მონაწილე სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, აქტიურად ჩაერთონ ასოციაციის საქმიანობაში, მოამზადონ სამართლებრივი დოკუმენტაცია, შეისწავლონ საავტორო უფლებით მოსარგებლეებთან ურთიერთობის სპეციფიკა. კლინიკის ფარგლებში შეთავაზებული კურსით სტუდენტები შეძლებენ გაიღრმავონ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა საავტორო სამართალში. გაეცნონ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და პრაქტიკას ამ სფეროში. ხელმოწერას ესწრებოდნენ ასოციაციის და იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციის წევრები, მაგისტრატურის სტუდენტები და სხვა მოწვეული სტუმრები. მემორანდუმს ხელი მოეწერა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ და იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში საავტორო უფლებათა ასოციაციამ თავისი წევრებისთვის დისკუსია გამართა, რომელსაც საავტორო უფლებათა ასოციაციის მოწვევით ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებათა დაცვის საზოგადოებების წარმომადგენლები მაიკლ ბატისტონი, ენჟი სორენსენი და ენ ჩაიტოვიჩი წარმართავდნენ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქართველ ავტორთა წინაშე მდგარი პრობლემების განხილვა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. მონაწილეებმა და ექსპერტებმა ამ სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მათი გადაჭრის მექანიზმებზე იმსჯელეს. საერთაშორისო ექსპერტები საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფოდნენ. ისინი დეტალურად გაეცნენ საქართველოში არსებულ მდგომარეობას საავტორო უფლებების დაცვის კუთხით და ასოციაციის საქმიანობას. მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ, რაც მათი მხრიდან დადებითად შეფასდა. ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგი ასოციაციის თანამშრომელთათვის, გაიმართა სემინარი საავტორო უფლებებით მოსარგებლეთა სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებისთვის. დისკუსია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ინიციატივითა და აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა მოეწყო.

მწერლის სახლში საავტორო უფლებათა ასოციაციამ ჟურნალ „ქოფირაითის“ მეშვიდე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც განთავსებულია ინტერვიუ ამერიკელ მოსამართლე ბერნის დონალდსთან. ჟურნალში დაბეჭდილია საინტერესო რუბრიკები პორტრეტი'– გრიგოლ რობაქიძე, „პრობლემატიკა“ – ილიკო სუხიშვილი, „სუბიექტური სივრცე“ – გიორგი გელაძე, ლაშა ბუღაძე, „სტუმარი“ – ზურაბ ქარუმიძე, 'ქართველები უცხოეთში'– მარიამ მაჩაიძე, „ხელოვნების საგანძური“ – გიორგი კალანდია.

– ჟურნალი საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ გამოიცემა და ის არის პირველი ჟურნალი ამ სფეროში და მისი მიზანი საავტორო უფლებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ამ სფეროს პოპულარიზაცია და ქვეყანაში მიმდინარე კულტურული პროცესების გაშუქებაა. ჟურნალი შემეცნებითი ხასიათისაა და მასში ასახულია საავტორო უფლებათა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო პრაქტიკა, საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობა – რა კეთდება ქვეყანაში ავტორთა უფლებების დასაცავად, ასევე პრობლემატიკა, რაც ჩვენს რეალობაში არსებობს, – განაცხადა საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, ასოციაციის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები. ჟურნალის წარდგინებაზე მოეწყო ერთ-ერთი რუბრიკის სტუმრის ახალგაზრდა დიზაინერის თათული ვაჩეიშვილის ნამუშევრების ჩვენება.

საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციას ჯგუფმა „ქუჩის ბიჭებმა“ მიმართეს. საკითხი ეხება „ქუჩის ბიჭების“ მუსიკალური ნაწარმოებების უნებართვოდ გამოყენებას. როგორც განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გახდა ცნობილი, „ქუჩის ბიჭების“ მუსიკალური ალბომი, „მიყვარხარ“, ავტორთა ნებართვის გარეშე აითუნს-ზე იქნა ატვირთული, საიდანაც ხდება როგორც ალბომის, ასევე ცალკეული მუსიკალური ნაწარმოებების რეალიზაცია. საკითხის შესწავლისა და დავის დარეგულირების მიზნით ასოციაციამ აითუნს-ის წარმომადგენლებს მიმართა. დაწყებულია მოლაპარაკებები აითუნს-ის მედია ბიბლიოთეკაში მუსიკალური ალბომის ატვირთვის წყაროს დადგენის მიზნით, რის შემდეგაც გატარებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

ცნობილი გახდა ისიც, რომ გალაკტიონის შემოქმედების გამოყენებისთვის ნებართვას ასოციაცია გასცემს. პოეტის მემკვიდრეებმა, ნონა და დავით ებანოიძეებმა, საავტორო უფლებების დაცვის და განხორციელების მიზნით ასოციაციას მომართეს. ასოციაციის მიერ, მათი, როგორც გალაკტიონ ტაბიძის მემკვიდრეების, უფლებები სრულად იქნება დაცული. გალაკტიონის შემოქმედების ლიტერატურული, მუსიკალური, დრამატურგიული და სხვა მიზნით გამოყენებისთვის ასოციაციის მიერ ნებართვები გაიცემა, რის საფუძველზეც შეგროვებული საავტორო ჰონორარი მემკვიდრეებს გაუნაწილდებათ.

ასოციაცია კომპოზიტორების ნოდარ ნიკოლაიშვილისა და ალექსანდრე ბასილაიას საავტორო უფლებებსაც დაიცავს. რეგიონებში კი საავტორო უფლებების დაცვის პროცესი დაიწყო.

– საქართველოს რეგიონებში საავტორო უფლებებით მოსარგებლეებთან 2012 წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების და საინფორმაციო კამპანიების წარმოების შემდეგ, საავტორო უფლებათა ასოციაციამ კვების დაწესებულებების წარმომადგენლებთან ლიცენზირების პროცესი დაიწყო. ასოციაციის წარმომადგენლებმა აჭარის რეგიონში მოქმედი კვების დაწესებულებების წარმომადგენლებთან ლიცენზირების მიზნით მოლაპარაკებები გამართეს. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და მოსარგებლეთა უმრავლესობაზე საავტორო უფლებით სარგებლობის ნებართვები გაიცა. მოსარგებლეთა მცირე ნაწილის მიმართ, რომლებიც ნებართვის მიღებაზე უარს აცხადებენ, ასოციაციამ სასამართლოს მიმართა. სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გადაწყვეტილებები მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულების აკრძალვის შესახებ. ლიცენზირების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, – განმარტა საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ.

კონსტანტინე კუბლაშვილი პარლამენტს მოუწოდებს, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები არ დაამტკიცოს

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ის ცვლილებები, რომლებიც მოსამართლეთა უვადო დანიშვნასთან დაკავშირებულ წინასწარ ე.წ. სამწლიან გამოსაცდელ ვადას ეხება, უზენაესმა სასამართლომ დეტალურად უნდა განიხილოს.

კუბლაშვილმა პარლამენტს მიმართა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვა აპრილამდე შეაჩეროს.

მისი თქმით, აღნიშნული ხუთთვიანი პერიოდი საჭიროა იმისთვის, რომ უზენაესმა სასამართლომ პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად დეტალურად განიხილოს, რამდენად სწორია სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემოღება.

„დაგეგმილია ამ კანონპროექტის მეორე და მესამე მოსმენით ძალიან სრაფად მიღება, ამ ყველაფრის ფორმალური მიზეზი გახლავთ ის, რომ 17 ნოემბერს ძალაში შედის კონსტიტუციის ახალი ნორმები და ის ნორმა, რომელიც მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესს ადგენს, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის ასე სწრაფად განხილვა არ შეიძლება“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

მისივე თქმით, სულ მცირე აპრილამდე არსებულ პერიოდში სასამართლო სისტემაში ახალი მოსამართლეების დანიშვნა აღარ მოხდება.

„ეს აგვაცილებს იმ პრობლემას, რომელიც კონსტიტუციური ნორმის ამოქმედებას და მოსამართლეების დანიშვნის გაურკვევლობას ეხება, თუკი ასეთი რამე მოხდა. ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, 15 ოქტომბრის შემდეგ სასამართლო სისტემაში ვერც ერთი მოსამართლე ვეღარ დაინიშნება, რადგან 15 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის იმ კანდიდატურებს, რომლებიც მოქმედი წესით 10 წლის ვადით დაინიშნებიან. ამის შემდეგ აღარც ადამიანური რესურსი და არც საჭიროება არსებობს იმისა, რომ ჩვენ სისტემას ძალიან სწრაფად ახალი მოსამართლეები შევმატოს“, – აღნიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

კუბლაშვილის თქმით, საჭიროა საბოლოოდ დარწმუნება იმაში, რომ ასეთი ცვლილება სასამართლო სისტემის და შესაბამისად, ქვეყანის დამოუკიდებლობას ხელს შეუწყობს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ პარლამენტი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს. შეგახსენებთ, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

პირველი

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ურუგვაის დედაქალაქი; 2. მდინარე ყვარელში; 3. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიოლოგია-მედიცინის დარგში; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 6. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 7. არომატიზებული, დასპირტული ღვინო; 9. საქართველოში მოღვაწე ჩეხი ლოტბარი; 13. ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი საწვავად და სასუქად გამოყენებული მკვრივი მასა; 17. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 18. ბაშკირეთის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 3. ინფექციური დაავადების გამომწვევი ჩხირისებრი ბაქტერია; 8. ქართველი მოფარიკავე, ევროპის ჩემპიონი; 10. აეროპორტი ბრიუსელში; 11. ამერიკული სიგარეტი; 12. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 14. საჭმელი სოკო; 15. სალამანდრების ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 16. სათავადაზნაურო ტიტული ევროპაში; 19. ამერიკული საიუველირო კომპანია; 20. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 21. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. ბოჰემია; 10. „კუკარაჩა“; 12. ჩადერი; 13. პრადო; 15. „ოტელი“.

თარაზულად: 1. ბობსლეი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. კლიპი; 11. კრედო; 13. პრესა; 14. „ბროლა“; 16. ელია; 17. აპოთემა; 18. „უცნობი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. შოკოლადი; 6. კალია; 7. ბოზბაში; 9. პოშეტი; 13. ომანი; 17. ვაჩა; 18. უდე.

თარაზულად: 1. ტალანტი; 3. „პოპოლო“; 8. ბოგანო; 10. აქსიომა; 11. „პორშე“; 12. ფაჩულია; 14. მოსტრა; 15. ანოსმია; 16. დუვრი; 19. წყნეთი; 20. მაღრაძე; 21. კოზაკი.

ლიტვა კალინინგრადის ოლქის ბლოკადით იმუქრება

ლიტვამ რუსეთისა და კალინინგრადის ოლქს შორის მიმოსვლა შესაძლოა დაბლოკოს, თუ მოსკოვი არ შეწყვეტს ზეწოლას მეზობელ ქვეყნებზე მათი ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის გამო. განცხადება ამის შესახებ „როიტერთან“ საუბრისას ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩიუსმა გააკეთა.

„ჩვენ შეგვიძლია მატარებლების მოძრაობა შევაჩეროთ, შევაჩეროთ ტვირთების გადაზიდვა, რაც გნებავთ. თეორიულად ეს შესაძლებელია. თუმცა ეს არ განიხილება. ჩვენ ასე არ ვაზროვნებთ, ეს ჩვენი მეთოდები არ არის“, – განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ლიტვასა და რუსეთს შორის საბაჟო კონფლიქტი გაჩაღდა. ვილნიუსში ამ კონფლიქტის წარმოქმნა დააკავშირეს იმასთან, რომ ლიტვა არის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და ამჟამად არის თავმჯდომარე ევროკავშირის საბჭოში.

ლიტვური, მხარის ინფორმაციით, რუსმა მებაჟეებმა განსაკუთრებული ზედმიწევნით დაიწყეს ლიტვური ნომრების მქონე ავტომობილების შემოწმება კალინინგრადის ოლქთან საზღვარზე. გადამზიდავთა ნაციონალური ასოციაციის მონაცემებით რუსი მებაჟეების მოქმედებების გამო მიყენებულმა ზიანმა უკვე 10 მილიონი ევრო შეადგინა.

კალინინგრადი საპორტო ქალაქია რუსეთში, კალინინგრადის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც რუსული ნახევრადექსკლავია პოლონეთსა და ლიტვას შორის ბალტიის ზღვაზე. ქალაქის მოსახლეობა 2010 წლის მონაცემებით არის 431,500. ეთნიკური შემადგენლობა არის შემდეგი სახის-რუსი 77.9%, ბელარუსი 8.0%, უკრაინელი 7.3%, ლიტველი 1.9%, გერმანელი 0.6% და პოლონელი 0.5%.

1255 წელს დაარსებული გერმანული ქალაქი, ოკუპირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ 1945 წელს და 1946 წელს კალინინგრადი დაარქვეს.

ლიბიაში რუსეთის საელჩოზე თავდასხმისას ერთი ადამიანი დაიღუპა

ლიბიის დედაქალაქში რუსეთის საელჩოზე თავდასხმის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა, რომელთაგან მოგვიანებით ერთი გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ „ლენტა.რუ“ ავრცელებს.

60-მდე ადამიანმა საელჩოს გარშემო გალავანზე ასვლა მოახერხა, მათ ერთ-ერთი აივნიდან რუსეთის დროშაც ჩამოხსნეს და კომპლექსის კარის გატეხვაც შეძლეს, თუმცა შენობაში ვერ შევიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმლები ჰაერში და ასევე საელჩოს მიმართულებით ისროდნენ. შენობის დაცვის სამახურმა საპასუხო ცეცხლი გახსნა.

მომხდარის შედეგად, საელჩოს თანამშრომელთაგან არავინ დაშავებულა. ერთ-ერთი ვერსიით, ამ დროს შენობაში არავინ იმყოფებოდა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ სიფრთხილის მიზნით, რუსული დიპლომატიური მისიის წევრები აეროპორტში გადაიყვანეს.

აღნიშნულ ინციდენტს რუსი ქალის მიერ ლიბიელი ოფიცრის მკვლელობას უკავშირებენ. „იტარ ტასის“ ინფორმაციით, მკვლელობა სამშაბათს მოხდა. რუსმა ქალბატონმა ლიბიელი ოფიცერი მუჰამედ ას-სუსი მოკლა, ხოლო მოკლულის დედას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გარდაცვლილის სისხლით მან კედელზე წარწერა გააკეთა, რომლითაც 2011 წელს ლიბიაში მომხდარი ამბოხება უარყოფითად შეაფასა.

„სავარაუდოდ, ამ თავდასხმით გამოხატეს პროტესტი ლიბიის არმიის საავიაციო მექანიკოსის მკვლელობაზე“, – ამბობს ლიბიის შსს-დან საინფორმაციო სააგენტო „ლანას“ წყარო.

მედიის ინფორმაციით, სამართალდამცავმა ორგანოებმა რუსი ქალბატონი უკვე დააკავეს.

სარქისიანი: „ომის შემთხვევაში აზერბაიჯანი ტერიტორიის 25-30%-ს დაკარგავს“

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე აზერბაიჯანელი დეპუტატის კითხვაზე პასუხისას განაცხადა, რომ თუ აზერბაიჯანის ომს დაიწყებდა იგი ტერიტორიების 25-30%-ს დაკარგავდა.

„დღეს, რუსეთის შეარაღებული ძალები სომხეთის უსაფრთხოების გარანტიაა. თუ აზერბაიჯანი დაიწყებს სამხედრო მოქმედებებს, სომხეთი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, დაიცავს მთიან ყარაბაღს. ასეთ შემთხვევაში 2-3 თვეში თქვენი ტერიტორიების უკვე 25-30%-ის ოკუპაციაზე იწუწუნებთ“, – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა. მან პასუხი აზერბაიჯანელ დეპუტატს სამედ სეიდოვს გასცა.

სეიდოვმა სომხეთის პრეზიდენტს განუცხადა, რომ სომხეთი თამაშობს „ევროპის დემოკრატიულ თამაშებს“ სინამდვილეში კი საბაჟო კავშირში წევრიანდება. ამაზე სარქისიანმა მას უპასუხა: „რას ნიშნავს ვთამაშობთ? ამას შესაძლოა თქვენ აკეთებთ ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ჩვენ კი პოლიტიკას ვაწარმოებთ, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებშია“. სარქისიანის თქმით, იგი არ არის ვალდებული აზერბაიჯანის წინაში თავი იმართლოს.

შეგახსენებთ, რომ სომხეთს დსთ-ს საბაჟო კავშირში შესვლა სურს, რის შემდეგაც ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფორმირებაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ეს განცხადება რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ რუსულ მედია-საშუალებებში გავრცელდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების საკითხებიც განიხილეს. როგორ შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, რუსულმა რკინიგზამ შესაძლოა სომხეთის სარკინიგზო ქსელში 15 მილიარდი რუბლის ინვესტიცია განახორციელოს.

თბილისის თეატრალურ ფესტივალზე ქართული სპექტაკლები გათამაშდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შორისო ცხოვრებას.

მუდმივ კითხვაზე თუ რა სურს ფესტივალს, ჩვენ ასეთი პასუხი გვაქვს: „გვსურს თქვენთან ერთად აღმოვაჩინოთ ყველაფერი ახალი – თეატრალური ფორმა, ტექსტი, მსახიობი, მაყურებელი, ღირებულებები, აზრი... გვსურს გავარღვიოთ საზღვრები, შევიცნოთ ჯერ კიდევ უცნობი კულტურები, ახალი და განსხვავებული მიდგომა ხელოვნებისა და სამყაროს მიმართ.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი კომუნიკაციის განსხვავებული, განსაკუთრებული საშუალება გახდება და სწორედ ესაა მისი დანიშნულება. 2009 წელს ფესტივალმა წარადგინა საერთაშორისო პროგრამა და ქართული სპექტაკლების პროგრამა; ორი წლის შემდეგ ფესტივალმა წარადგინა პროგრამა „ნიუ“, ამავე წელს ფესტივალი გახდა ევროპის ფესტივალების ასოციაციის წევრი – ყველაზე ასაკოვანი და პრესტიჟული ევროპული ოჯახისა, რომლის წევრები ედინბურგისა და ავინიონის ფესტივალები, ბერლინერ-ფესტშპილე, ვენეციის ბიენალე, ისრაელის ფესტივალი და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები და ფესტივალებია. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოს იმ მრავალრიცხოვან დიდ თუ პატარა ფესტივალებს შორის, რომელიც „ოცნებობს“, რომ გაუძლოს დროს და მაყურებლის მოთხოვნას. წელს ჩვენ ფესტივალის მეხუთე ცხოვრებას წარმოვადგენთ. დასაწყისში, და თითქოს ეს დასაწყისი „გუშინ“ იყო, ფესტივალი წარმოგიდგინეთ როგორც მოგზაურობა, რომელსაც მაყურებელთან ერთად გავივლით, მოგზაურობა, რომელიც ბევრ სხვა აღმოჩენასთან ერთად, მიგვიყვანს იქ, საითკენაც ჩვენი წარმოსახვა ჯერ მხოლოდ ბუნდოვნად მიიწევს; გაგვიმტკიცებს გრძნობებს, რომელიც ჯერ კიდევ მყიფეა; გაგვიძლიერებს იმ იმედს, რომელიც მუდმივია, მაგრამ ადვილად მსხვრევადი... წელს ჩვენ წარმოგიდგენთ სპექტაკლებს, რომელიც თანამედროვე ადამიანისა და სამყაროს ერთგვარი „სნეპ-შოტია“, კადრი, რომელიც ასახავს ყველაფერს, რასაც დღეს ადამიანი განიცდის, რაზეც ოცნებობს, რასაც ცდილობს და რისკენაც მიილტვის; კადრი, რომელიც ბევრ დამოუკიდებელ ნაწილად იყოფა და ჩვენ კი მისი მთლიანობაში აღქმისას, ხშირად ყურადღებიდან გვრჩება შესაძლებელია ყველაზე მთავარი. ადამიანი დაჯილდოვებულია „რეალობის ნატიფი გრძნობით“, მაშ, მივყვეთ ამ გრძნობას უფრო თამამად ფესტივალთან ერთად, – ამბობს ფესტივალის ხელმძღვანელი ეკა მაზმიშვილი.

სამგლოვიარო განცხადებები

პალიკო ესებუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება
ქსენია ღვინჯილია-გოგიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ობამა დეფოლტის შესახებ საუბრობს

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორული ფრთა მზადაა ქვეყანა დეფოლტამდე მიიყვანოს.

მისი თქმით, ის რესპუბლიკელებთან ბიუჯეტის შესახებ დებატებაზე მანამ არ დათანხმდება, სანამ ისინი ფედერალურ მთავრობას მუშაობის განახლების საშუალებას არ მისცემენ და სახელმწიფო ვალის ზღვარის გაზრდაზე არ დათანხმდებიან. თეთრ სახლში ობამასა და წამყვან კონგრესმენებს შორის ცოტა ხნის წინ ამ თემაზე გამართული საუბარი კვლავ უშედეგოდ დასრულდა.

შეხვედრის შემდეგ რეპორტიორებთან საუბრისას წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონ ბეინერმა განაცხადა, რომ ეს კარგი, თუმცა უშედეგო საუბარი იყო.

შეგახსენებთ, რესპუბლიკელები და დემოკრატების დაპირისპირებას საგანს უმთავრესად ჯანდაცვის პროგრამა წარმოადგენს. რესპუბიკელები ამ პროგრამის შეჩერებას მოითხოვენ.

ბიუჯეტის კანონპროექტზე შეთანხმების მიუღწევლობის გამო ქვეყანაში ფედერალური მთავრობის ორგანოებმა მუშაობა დროებით შეაჩერეს. 80 000 ადამიანი კი გაურკვეველი ვადით უხელფასო შვებულებაში გაუშვეს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მალაიზიაში ადრე დაგეგმილი ვიზიტი აშშ-ში შექმნილი საბიუჯეტო კრიზისისა და ამის გამო გამოწვეული მთავრობის მუშაობის შეჩერების გამო გადადო.

იარაღის ინსპექციამ სირიაში მუშაობა დაიწყო

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, სირიაში ჩასულმა ქიმიური იარაღის განადგურების სპეციალისტების ჯგუფმა პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

სპეციალისტები სირიაში სამშაბათს ჩავიდნენ. იმავე დღესვე მათ სასტურმოსთან ახლოს ნაღმი აფეთქდა. სასტუმრო „ფორ სიიზონსი“ დამასკოს იმ რაიონში მდებარეობს, რომელიც ყველაზე უკეთესად არის დაცული. როგორც აღნიშნავენ, ინსპექტორებს განსაკუთრებით მძიმე მუშაობა იმ რაიონებში მოწევთ, რომელსაც სირიის მთავრობა არ აკონტროლებს.

როგორც გაეროს განცხადებაშია საუბარი, უახლოეს დღეებს ინსპექტორები „სირიის ხელისუფლებისაგან ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის შესახებ ინფორმაციის მოგროვებასა და ამ იარაღის განადგურების დაგეგმვაში გაატარებენ. ეს პროცესი კი 1 ნოემბრისათვის დასრულდება“.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ სირიის ქიმიური იარაღის განადგურების გეგმასთან დაკავშირებით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები სწორ გზას ადგანან. მისი თქმით, თუ ეს ქვეყნები ერთად იმუშავებენ, სამხედრო ინტერვენციის თავიდან აცილება შესაძლებელია.

შეგახსენებთ, რომ სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ შეთანხმება მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკას სირიაზე სამხედრო დარტყმის განხორციელება ფაქტობრივად გადაწყვეტილი ჰქონდა.

ამერიკამ სამხედრო დარტყმაზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს ქიმიური გაზის გამოყენებას 1400 ადამიანი ემსხვერპლა.

„ყველა მიზეზი არსებობს იმისა ვიფიქროთ, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ“,-განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტის თქმით, ქიმიურ იარაღთან დაკავშირებული გეგმა ობამასა და სხვა ქვეყნების ლიდერების მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი
4 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** სპ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** მხ.ფ "**ბუს ძახილი**" **12.40** მხ.ფ "**დომბე და ვაჟი**" **14.30** ტ.სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.15** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**როკენროლა**" **00.20** ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**კიბორჩხალა სადილზე**"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**29.09.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (**29.09.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ— ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ. "**კამორას კლანი**" მე—7 სერ. **01.10** მხ/ფ "**სულების სახლი**" (ა. ბანდერასი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუადღე" **15.30** ეკი ვოკი (კვ. გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ბიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **07.30** მხ/ფ "**მაია წყნეთელი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "თავშესაფარი" **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ჩაკლული სული**" **13.35** დოკუმენტური ფილმი "ლაზეთის ბულბული" **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05, 00.30** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე - მარინე იაშვილი **17.00** კვირიაკე **18.10** "ჩვენი ფონდი" **18.25** დიდ ხარშენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ/ფ "**პრდადგებზე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.50** მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი** "**ღრუბლებს მიღმა**" **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) **19.00** **სერიალი** "**ასი**" **21.45** **სერიალი** "**დიდებული საუკუნე**" **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **6.45** ფარული კამერა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6623	ევრო — 2,2471
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6938	100 რუსული რუბლი — 5,1469

ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბრისთვის

თბილისის თეატრალურ ფესტივალზე ქართული სპექტაკლები გათამაშდება

ეკა ირემაშვილი

5 ოქტომბრიდან თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქართული სპექტაკლების წარმოდგენებს უმასპინძლებს. 5, 6, 7 და 8 ოქტომბერს სპექტაკლებს წარმოადგენენ თბილისის, თელავის, ზუგდიდის, გორის, ახალციხის და ჭიათურის თეატრები. მთლიანობაში 30 სპექტაკლი გათამაშდება. როგორც ფესტივალის ხელმძღვანელი ეკატერინე მაზმიშვილი აცხადებს, ვინაიდან პროგრამა ტარდება საერთაშორისო კრიტიკოსთა ასოციაციის ქართული ჯგუფის თანამშრომლობით, მათ მიერ 9 სპექტაკლია რეკომენდირებული.

შოუქეისის სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ქართული თანამედროვე თეატრის გაცნობის, პროექტების ინიცირებისა და გაცვლითი პროექტების მიზნით.

– თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2009 წელს დაარსდა თბილისის მერიის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. ფესტივალი დღეს არა მარტო საქართველოშია მთავარი კულტურული მოვლენა, არამედ კავკასიის ქვეყნების ფესტივალებს შორის ლიდერია და ერთერთი მნიშვნელოვანი შავი ზღვის აუზზე. ყოველ წელს ფესტივალი არა მარტო საუკეთესო და ლეგენდარული სპექტაკლებისა და პერფორმანსების წარდგენის შესაძლებლობაა, არამედ გამოწვევის, დისკუსიისა და კამათის მცდელობა – საკუთარ თავთან, მეგობართან, საზოგადოებასთან. კამათისა და დისკუსიის, რომელიც პატარა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს აზრებსა და ოცნებებზე. ამიტომაც ფესტივალის პროგრამა განსაკუთრებული სიფრთხილითა და მაყურებლის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით დგება. 4 წლის განმავლობაში ჩვენ გვყავდა 20.000-ზე მეტი მაყურებელი, მსოფლიოში ცნობილი, ლეგენდებად ქცეული თეატრები და მსახიობები, ისევე როგორც ისინი, ვინც ჯერ კიდევ იწყებს საერთა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 4 ოქტომბრისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ნუ გარისკავთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **ლომი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ქალწული** — მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. წვრილმანი საქმეებით დაკავდით. **სასწორი** — დაისვენეთ და გაერთეთ. მიიღეთ ბევრი სითხე. **ღრიანკალი** — თამამად მიიღეთ გადაწყვეტილება. უთუოდ გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** — თქვენი საქმე წინ მიდის. მშვენიერი დღე გაქვთ წინ. **თხის რქა** — საყვარელი ადამიანისგან სიურპრიზი გელით. გაგიხარდებათ. **მერწყული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. გაგიმართლებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე. მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. მე-15 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თურქეთის პარლამენტი; 8. პოლიციელთა მეტსახელი აშშ-ში; 9. ქართული ხალხური სუფრული სიმღერა; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 12. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 13. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 15. თბილისის მმართველი IX-XII საუკუნეებში.

თარაზულად: 1. მდინარე ამაზონის აუზში ბინადარი მტაცებელი თევზი; 6. ცნობილი ქართველი სპორტული ტელეკომენტატორი; 7. პროფესიონალი ცხენოსანი; 10. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 11. სოკოების, ხავსების მიკროსკოპული ჩანასახი გამრავლებისთვის; 13. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 14. ჯარების მართვის ორგანო; 16. ძვირფასი ლითონი; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 18. ფიგურული სახაზავი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები



მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა

20 სექტემბრიდან **გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები**

24 სექტემბრიდან **გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები**

27 სექტემბრიდან **გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები**

აჩიკო ნიჟარაძე: „მოგვეცით საშუალება, თავისუფლად ვიმუშაოთ!“

ეკა ირემაშვილი

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე სოციალურ ქსელში ხელოვნებასთან დაკავშირებით კომენტარებს აკეთებს. „ფეისბუქში“ მომღერალი მოითხოვს, გათავისუფლდეს ხელოვნება პოლიტიკისგან:

– თავისუფლება ხელოვნებას! მოგვეცით საშუალება, რომ თავისუფლად ვიმუშაოთ! ვაკეთოთ ჩვენი საქმე და ჩვენი საქმით ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა. ამდენი წელია ვერაფრით ვერ მოვახერხე საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის მიღება იმიტომ, რომ ვიღაცას არ სურდა რომ მე მეღერა. პირველად ორი თვის წინ მივიღე მონაწილეობა პირველ საერთაშორის კონკურსზე და 21 ქვეყანას შორის 2 ადგილი დავიკავე ბელარუსიაში („სლავიანსკი ბაზარი 2013“), სულ რაღაც ერთი თვის წინ მეორედ გავემგზავრე საერთაშორისო კონკურსზე და გრამპრი ჩამოვიტანე. ესტონეთი ტალინი („ლა